# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 დეკემბერი, 2010 წელი.

№223 (6589)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


გლობალური პრობლემა

თუკი მესხები თურქული ორიენტაციით დაბრუნდებიან სამცხე-ჯავახეთში, იქ თავიანთ „სტამბულს“ შექმნიან და დამთავრდა... მესხეთიც დაკარგულია.

## მე თუ თურქი ვარ, საიდან აღმოვჩნდი საქართველოში?

გასახლებული წინაპრების გაორებული შთამომავლები

④

მშიერი ფანტაზია

## ბაყაყების ექსპორტი ჩაგვივარდა, სამაგიეროდ ჭაობების დაშრობის ექსკლუზივი ამოტივტივდა!..

⑤





③

## სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი – ოთხი აფეთქება თბილისში!



## „FASHION WEEK“ ქართულად!



პროვინციული სნობიზმი ⑥



ზურაბ აბაშიძე:

## თუ საქართველო შეცდომებს არ დაუშვებს, დრო ჩვენს სასარგებლოდ იმუშავებს

②



## ვახტანგ შამილაძე ქართული ეთნოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარია

⑦



## გია გიორგაძე – ისევ საჭესთან

⑩



## ფედერაციას გურჩიანი უთავკაცებს

3

ნოლაიდელს თანამოძმენი განუდგნენ

●

მინისტრის მოადგილის „მარგალიტები“

●

მობოლების ერთი „კლასიკური“ მაგალითი

## რატომ გამოდის თბილისი სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ?

⑧



№ 223. ოთხშაბათი, 1 დეკემბერი, 2010 წელი.

## აქტუალური თემა

**სავარაუდოდ, როგორი იქნება ოფიციალური მოსკოვის პასუხი სააკაშვილის ინიციატივაზე მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით, განიცდის თუ არა კრემლი საქართველოს საკითხში აშშ-სა და ევროპისგან რამე სახის ზეწოლას, რა ხდება რუსეთში და რა მოსაზრებებს გამოთქვამენ რუსი ექსპერტები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით? — ამ და სხვა საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, ევროკავშირში, ნატოსა და რუსეთში საქართველოს ყოფილ ელჩს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა, რომელიც ქართველ ექსპერტთა მცირე ჯგუფთან ერთად მოსკოვიდან ახლახან დაბრუნდა.**

# ზურაბ აბაშიძე: თუ საქართველო შეცდომებს არ დაუშვებს, დრო ჩვენს სასარგებლოდ იმუშავებს

**— ბატონო ზურაბ, ერთ კვირაზე მეტი გავიდა, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროპარლამენტის ტრიბუნიდან რუსეთს მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებების უპირობოდ დაწყება შესთავაზა. ოფიციალური მოსკოვის დუმილის ფონზე ქართულ პოლიტიკურ წრეებში არ ცხრება სააკაშვილის შეთავაზებაზე კამათი. ზოგი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა კრემლის წინაშე პრაქტიკულად კაპიტულაცია გამოაცხადა, მეორენი მიიჩნევენ, რომ სააკაშვილმა სწორი და დიპლომატიური თვალსაზრისით წაუგებელი ნაბიჯი გადადგა. მესამენი კი თვლიან, რომ მის შეთავაზებას აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან სააკაშვილთან საუბარს არც მედვედევი და არც პუტინი არ აპირებენ.**

**თქვენი აზრით, ამ მოსაზრებათაგან რომელი უფრო ახლოს არის სინამდვილესთან? და კიდევ, მედვედევსა და პუტინს სააკაშვილის წინადადებაზე პასუხის გაცემა თუნდაც დასავლეთის ზეწოლით მოუწევთ და, თქვენი ვარაუდით, ორივეს პასუხი ერთნაირი იქნება თუ - განსხვავებული?**

— ისევე როგორც ზოგადად, პოლიტიკაშიც, კონსტრუქციულობას მეტი დადებითი შედეგი მოაქვს, ვიდრე — დესტრუქციულ ქმედებასა და მაქსიმალიზმს. ამიტომ შესარიგებლად გაწვდილი ხელი სჯობს საჩხუბრად შემართულ მუშტს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნისთვის, რომელიც თავის საერთაშორისო ავტორიტეტზე ზრუნავს. მცირე ქვეყნისთვის კი კონსტრუქციულობა, გარკვეულწილად, თავდაცვის მექანიზმიცაა.

რუსეთს ამ მხრივ სხვა ამოცანა აქვს. პირიქით, ამ შემთხვევაში იგი ცდილობს, დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ „მაგარი ბიჭია“ და დასავლეთის ზეწოლას არ იმჩნევს. ჩემი აზრით, საქართველომ კონსტრუქციული გზით უნდა იაროს, რაც, ბუნებრივია, უპრინციპობას არ ნიშნავს. ამავე დროს, მცირე ქვეყნის ყველაზე ეფექტური თავდაცვის მექანიზმი მისი დემოკრატიულობის ხარისხია. ამიტომ ჩვენ მარტო იმაზე კი არ უნდა ვისაუბროთ, თუ რას ითხოვს დასავლეთი რუსეთისგან, არამედ იმაზეც, თუ რას ელოდებიან ჩვენი პარტნიორები საქართველოსგან დემოკრატიის განმტკიცების თვალსაზრისით. თუ ჩვენ სწორად ვივლით, მაშინ დასავლეთის მეტი მხარდაჭერაც გვექნება და რუსეთსაც მოუწევს თავისი პოზიციების გადახედვა.



**— ბრძანეთ, რომ მოსკოვზე დასავლეთისა და აშშ-ს ზეწოლა არ შეიმჩნევა. თუ ასეა, მაშინ რა გამოდის? აშშ-ს, იგივე ევროკავშირისა და ევროპარლამენტის მხრიდან საქართველოსადმი მხარდაჭერას მნიშვნელობა არა აქვს, თუ რუსეთი ამ მხარდაჭერას უბრალოდ არ იმჩნევს?**



— იცით რა, ათეული წლების განმავლობაში რუსეთი უარყოფდა კატინის ტყეში მეორე მსოფლიო ომის დროს 15 ათასი პოლონელი ოფიცრის დახვრეტას. სულ რამდენიმე დღის წინათ კი უკვე სახელმწიფო დუმამ აღიარა სტალინიზმის ეს დანაშაული. 2007 წელს პრაღაში ვიზიტით ჩასულმა ვლადიმერ პუტინმა აღიარა რუსეთის მორალური პასუხისმგებლობა 1968 წლის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით. ესეც კონსტრუქციული ნაბიჯი იყო რუსეთის მხრიდან და მსოფლიომაც ასე შეაფასა. ყოველივე ეს (და კიდევ მრავალი სხვაც) დასავლეთის ზეწოლის შედეგიც არის და თვით რუსეთის ტრანსფორმაციის გამოვლინებაც. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, როდესაც რუსეთს მოუწევს პასუხისმგებლობის აღება 2008 წლის ომის გამოც, მაგრამ ამას დრო დასჭირდება.

**— რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით მოსკოვიდან? საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის საექსპერტო წრეებში რა მოსაზრებებს გამოთქვამენ?**

— მოსკოვში სულ რამდენიმე დღე მომიწია ყოფნა. ჩემი რუსი კოლეგების დაკვირვებით, ბოლო თვეების მანძილზე მედიაში ნაკლებად არის ნეგატიური ინფორმაცია საქართველოს შესახებ, რაც გარკვეულად სტატისტიკაზეც აისახება. სხვადასხვა წრეებში, მათ შორის ოფიციალურშიც, გაჩნდა ინტერესი კორუფციის წინააღმდეგ საქართველოში არსებული გამოცდილების მიმართ. რუსეთში, ტოტალური კორუფციის პირობებში, ეს თემა უაღრესად აქტუალურია.

რამე თვისებრივ ცვლილებებს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ახლო მომავალში არ ელიან და თვლიან, რომ უფრო რეალურია პატარ-პატარა ნაბიჯებით წინსვლა. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური კავშირების აღდგენას გულისხმობენ. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები ნაწილია გლობალური პოლიტიკისა, კერძოდ, რუსეთის ურთიერთობისა დასავლეთთან, ასევე მიიჩნევენ, რომ თუკი მიღწეული იქნება დიდი შეთანხმება ევროპის უსაფრთხოების სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით, მაშინ საქართველოს პრობლემების მოგვარებასაც შეიძლება გაუჩნდეს ახალი შანსები.

ყველას აწუხებს ვითარება ჩრდილო კავკასიაში. ზოგი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით საჭიროა საქართველოსთანაც თანამშრომლობა. იმასაც გვირჩევენ, რომ უაღრესად ფრთხილად ვიყოთ ამ რეგიონთან. ეს კრემლისთვის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე თემაა და რამე შემთხვევითობამ ან გაუგებრობამ შეიძლება, ძალიან დიდი პრობლემები შეგვიქმნას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით რუსეთი ტურბულენტურ ზონაში შედის.

ზოგადად კი, ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილი და ინფორმირებული ადამიანები, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, თვლიან, რომ თუკი საქართველო შეცდომებს არ დაუშვებს, დრო ჩვენს სასარგებლოდ იმუშავებს.

**— ამას წინათ, რუსეთის სათათბიროს დეპუტატმა გუდკოვმა განაცხადა, რომ თუ ხელისუფლებამ რეფორმების გატარება ზემოდან დროულად არ დაიწყო, რუსული ბუნტი ქვევიდან ყველაფერს წალეკავს. ბატონო ზურაბ, რუსეთში მართლა ამგვარი რევოლუციური ვითარება და განწყობებია?**

— ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთში მართლაც ფრიად რთული სოციალური ვითარება შექმნა. 2008 წლამდე ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ასეთი არაფორმალური შეთანხმება იყო: ხალხი მდიდრდებოდა იმ პირობით, რომ პოლიტიკაში არ ჩაერეოდა. ენერგორესურსებზე მაღალი ფასების გამო მაშინ რუსეთს დიდი შემოსავალი ჰქონდა და ეს სახსრები საკმაოდ დიდ ფენაზე ნაწილდებოდა. ამიტომ აღნიშნული ფორმულა თითქმის ყველას აწყობდა. ახლა უკვე სახელმწიფოს ფული შემოაკლდა, ამიტომ ყველა ჩივის.

პრეზიდენტმა მედვედევმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ქვეყანაში სტაგნაციის ნიშნებია. სტაგნაციას არადიპლომატიური ენით კრიზისსაც უწოდებენ. მისივე თქმით, თუკი კომუნალური პრობლემები რადიკალურად არ მოგვარდა, ხუთიოდე წლის შემდეგ რუსეთს კატასტროფა ელის. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე რეგიონში მოსახლეობა უგათბობოდ დარჩა. რუსეთის სუსხიანი ზამთარი კი ჯერ წინაა. ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია. ყველა საუბრობს უდიდეს კორუფციაზე, კრიმინალზე, ჩინოვნიკების უგულობაზე. ამის მიუხედავად, რუსეთში რევოლუციური ვითარება ამჟამად არ არის, მაგრამ თუ სერიოზული რეფორმები არ დაიწყო, მაშინ მართლაც შეიძლება გამართლდეს დეპუტატ გუდკოვის წინასწარმეტყველება.

**— გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია კომპანია „სელფორდის“ მფლობელთან, პრეზიდენტ მედვედევთან დაახლოებულ ოლიგარქ ანისიმოვთან სააკაშვილის შეხვედრის შესახებ. რამდენად სავარაუდოა გავრცელებული მოსაზრება, რომ სააკაშვილი მედვედევთან კულუარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს და მედვედევ-სააკაშვილის შეხვედრა მზადდება?**

— ამ შეხვედრის შესახებ მე ინფორმაცია არა მაქვს, ამიტომ რამე კომენტარის გაკეთება არასერიოზული მეჩვენება.

**კობა ბენდელიანი**

## SIC!

# ან მოლაპარაკება ნატოსთან, ან შეიარაღების მარათონი

**რუსეთი და დასავლეთი ამჟამად ალტერნატივის წინაშე დგანან — ან უნდა მოილაპარაკონ სიღრმისეული პარტნიორობისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალი სისტემის შესახებ, ან შეიარაღების ახალ მარათონში ჩაერთონ. ეს განცხადება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთის ფედერალური საკრებულოს წინაშე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.**

— ამ დარბაზში მინდა ღიად განვაცხადო, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში ჩვენ გველის შემდეგი ალტერნატივა - ან ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში და შევქმნით თანამშრომლობის ერთობლივ მექანიზმს, ან ვერ მოვაღწევთ კონსტრუქციულ შეთანხმებას და შეიარაღების ახალი მარათონი დაიწყება. ჩვენ მოგვიწევს გადაწყვეტილებების მიღება ახალი დამრტყმელი სისტემების განთავსების შესახებ, — განაცხადა მედვედევმა და დასძინა, რომ „სავსებით ცხადია, ეს უკანასკნელი სცენარი ძალიან მძიმე იქნება“.

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია

### დაჩქარებული წესით მიიღებენ

**პარლამენტი „შრომის კოდექსსა“ და საპენსიო რეფორმის შესახებ კანონპროექტებს საშემოდგომო სესიების დახურვამდე დაამტკიცებს.**

**კანონპროექტების დაჩქარებული წესით მიღების შესახებ საქართველოს მთავრობა ინიციატივით მომავალ ბიუროს სხდომაზე კიდევ ერთხელ შევა.**

**მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის განმარტებით, აღნიშნულ საკითხებზე კონსულტაციები მიმდინარე კვირაშიც გაგრძელდება და პოზიციების საბოლოო შეჯერებისთვის მთავრობამ ბიუროს სხდომაზე მისი ინიცირების გადაწევა ერთი კვირის ვადით ითხოვა.**

**— ეს იქნება ერთობლივი პაკეტი, რომელშიც პენსია და სოციალური დახმარება გაერთიანდება, თუმცა რა სახის სოციალური დახმარება იქნება, აღნიშნულზე კონსულტაციები კვლავ გრძელდება და პროექტს უკვე მომავლი ბიუროს სხდომაზე წარმოვადგენთ, — აღნიშნა ხუროშვილმა.**

**— ამასთან, მთავრობა საშემოდგომო სესიების დასრულებამდე პარლამენტს რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივის დაჩქარებული წესით მიღებას სთხოვს. ესენია „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“, „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ, „საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონში ცვლილებების თაობაზე, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების და დამატების შეტანის შესახებ“, „საგადასახადო დავალიანებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში ცვლილები.**

### საგადასახადო დავალიანების ვადა ორი წლით გაგრძელდება

**საგადასახადო დავალიანებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის ვადა კიდევ 2 წლით ხანგრძლივდება.**

**როგორც საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, ცალკეული ოპონენტების მიერ ხშირად სადავო ხდება, რამდენად შეიძლება არსებობდეს ქვეყანში რესტრუქტურიზაციის სისტემა, რომელიც მათი მტკიცებით სხვადასხვა საწარმოებს არათანაბარ რეჟიმში აყენებს.**

**— დღევანდელ პირობებში ჩვენ, რომ გავაუქმოთ რესტრუქტურიზაციის წესი, რომელიც კანონის სახით მოქმედებს, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს ბევრ საწარმოს და ადამიანს, ბევრი სამუშაო ადგილს დაკარგავს და ქვეყნის ეკონომიკას რეალურად პრობლემა შეექმნება. ამიტომ კვლავ გრძელდება ამ კანონის მოქმედება, როგორც გარდამავალი კანონის სახით. იმედი გვაქვს, რომ როდესაც საწარმოები, ჩვენი ბიზნესი, ეკონომიკა თავს დააღწევს არსებულ პრობლემებს, დასრულდება მსოფლიო ფინანსური კრიზისი და ქვეყანას ექნება მზარდი ეკონომიკური განვითარება, მაშინ ეს კანონი აუცილებლად გაუქმდება, — აღნიშნა ხუროშვილმა.**

**მისივე განმარტებით, აღნიშნული კანონი არის მთავრობის მიერ მიცემული შესაძლებლობა, რომ საჭიროებისა და სათანადო დასაბუთების შემთხვევაში კომპანიებმა ვალის გადავადება და მისი ეტაპობრივი გადახდა მოხდინონ.**

ჯი-ეიჩ-ენი

### რა მოგველის?

# სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი - ოთხი აფეთქება თბილისში

**28 ნოემბრის ღამით მომხდარი აფეთქებების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, პრაქტიკულად, დაიხურა.**

შს სამინისტროს ვერც ერთ ოფიციალურ პირთან, რომლებიც ჟურნალისტებთან კომენტარს აკეთებენ, დღეს დაკავშირება ვერ ხერხდება.

ჯავახიშვილის ქუჩაზე და მუხიანში 28 ნოემბრის ორ აფეთქებამდე, თბილისში კიდევ ორი აფეთქება მოხდა – დიღომში, აშშ-ის საელჩოსთან ახლოს, 21 სექტემბერს. შემდეგ – ბორჯომის ვაგზალზე, მიწისქვეშა გადასასვლელში, 22 ოქტომბერს. არც ამ ორი აფეთქების გამოძიების ოფიციალური შედეგებია ცნობილი.

თუ დიღომსა და ბორჯომის ვაგზალზე აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია და არც დაშავებულები არიან, ჯავახიშვილის ქუჩაზე აფეთქების დროს 65 წლის ნინო გორდეზიანი დაიღუპა, დაშავდა რამდენიმე ადამიანი, მათ შორის - ერთი ბავშვი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო ორ ინციდენტზე ოფიციალური განცხადება 28 ნოემბერსვე გაავრცელა.

სამინისტროს ინფორმაციით, ექსპერტიზის პირველადი შედეგების თანახმად, ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ტიპის ასაფეთქებელი ნივთიერება გამოიყენეს.

გამოძიებას თბილისის მთავარი სამმართველო სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით აწარმოებს – გაზის, ბენზინის, ნავთის ან სხვა ნივთიერების განზრახ აფეთქება და ამით




შეგნებულად სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის საფრთხის შექმნა. დანაშაული ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ოფიციალური ინფორმაციის მიუწვდომლობის გამო, შევეცადეთ, ექსპერტების მოსაზრებები მოგვესმინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქმისადმი მიყენებული მუხლი არასწორად მიაჩნია ექსპერტს სამხედრო საკითხებში ირაკლი სესიაშვილს. როგორც მან გვითხრა, მომხდარი მისთვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო. სესიაშვილს უჭირს აფეთქების პოლიტიკური მიზნების პოვნაც და ფიქრობს, რომ გამოძიებამ ტერორიზმის ვერსიაზეც უნდა იმუშაოს.

უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი ბესო ალადაშვილი კი, 28 ნოემბრის აფეთქებებსა და ცოტა ხნის წინათ მომხდარ ორ აფეთქებასთან პარალელს ავლებს. ალადაშვილი არ გამორიცხავს, რომ ჯავახიშვილისა და ნონეშვილის ქუჩებზეც იგივე ასაფეთქებელი მოწყობილობები გამოიყენეს, რომლებიც ცოტა ხნის წინათ აშშ-ის საელჩოსა და ბორჯომის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიებზე.




უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი ამბობს, რომ საქმის მაქსიმალურად სწრაფად გახსნა ხელისუფლების ინტერესებშია, რათა მითქმა-მოთქმა დროულად დასრულდეს. ალადაშვილი აქვე აღნიშნავს, რომ არც ერთი ვერსიის გამორიცხვა არ შეიძლება, მათ შორის არც რუსული კვალის.

„ამას, შესაძლოა, პირდაპირ ტერაქტის კვალიფიკაცია მიეცეს, რადგან ეს რაღაც კრიმინალური გარჩევის შედეგი არ არის. ეს უფრო ზოგად-პოლიტიკურ საკითხებზე გადადის. ყველაზე ცუდია ის, რომ ამით მოსახლეობა ზარალდება, მათ სიცოცხლეს საფრთხე ექმნება, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ საგანგაშოა. ვფიქრობ, რომ არც ერთი ვერსიის გამორიცხვა არ შეიძლება“, – თქვა ალადაშვილმა.

28 ნოემბერს, შუაღამისას, ძლიერი აფეთქებები, დაახლოებით, ერთი საათის ინტერვალით ჯერ ჯავახიშვილის ქუჩაზე, შემდეგ კი მუხიანში გაისმა.

ჯავახიშვილის №88-ში, „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისის გვერდით, ადგილობრივების ვარაუდით, ტროტილის შემცველი მოწყობილობა ააფეთქეს. აფეთქების სიძლიერემ ქუჩაზე მდებარე ყველა სახლის მინა ჩაამსხვრია, ჩამოვარდნილია თითქმის ყველა ახლომდებარე სადარბაზოს კარი.

მინის ნამსხვრევი გულში მოხვდა ოფისის მოპირდაპირე სახლში მცხოვრებ 65 წლის ნინო გორდეზიანს. სამი შვილის დედა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ადგილობრივების თქმით, დაშავდა ოთხი ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი მძინარე ბავშვი. კონტუზია მიიღო „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისის დაცვის თანამშრომელმა.

ერთ-ერთი თვითმხილველი ყვება, რომ აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე ვერცხლისფერი „მერსედესი“ შეუნიშნავთ.

მუხიანის I მიკრორაიონში აფეთქება ნონეშვილის ქუჩის №13 კორპუსში არსებულ მაღაზიასთან მოხდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანებულია მაღაზია. ჩამსხვრეულია კორპუსის მცხოვრებთა ფანჯრები.

ადგილობრივი მცხოვრებლების განცხადებით, აფეთქება მაღაზიის კიბეზე დამონტაჟებულმა ასაფეთქებელმა მოწყობილობამ გამოიწვია, თუმცა კონკრეტულად რა ნივთიერება აფეთქდა, მათთვის უცნობია...

გამოძიება აცხადებს, რომ მათ გარკვეული დრო სჭირდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო პირობას დებს, რომ კრიმინალისტიკური ექსპერტიზის საბოლოო შედეგებს საზოგადოებას შეატყობინებს...

**ნინო წივწივაძე,**
„ინტერპრესნიუსი“

### ინფორმაცია

## ნოღაიდელს თანამოძმენი განუდგნენ



**„სამართლიანი საქართველოს“ ლიდერს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს კასპის, ჭიათურის, გურჯაანის, საჩხერის, თერჯოლის, გორისა და თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეებმა.**

მოძრაობის წევრები რიგგარეშე ყრილობის ჩატარებასა და ნოღაიდელის გადადგომას ითხოვენ. როგორც „სამართლიანი საქართველოს“ რეგიონალური ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა განაცხადეს, ზურაბ ნოღაიდელს მოძრაობის 99 პროცენტი აღარ ენდობა.

— გაზაფხულიდან მოყოლებული რთული სიტუაცია შეიქმნა. ეს ძირითადად გამოიწვია პარტიის ლიდერის ნურაბ ნოღაიდელის გაუაზრებელმა განცხადებებმა. პირველი განხეთქილება პარტიის წევრებსა და ნოღაიდელს შორის პროგრამა „კარდაკარის“ დაწყების შემდეგ მოხდა. იდეაში ეს პროგრამა კარგი იყო, თუმცა გადაწყვეტილებებს არაპროფესიონალები იღებდნენ, რამაც ამ პროგრამის ჩავარდნა გამოიწვია. არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ნოღაიდელმა უარი განაცხადა დაფინანსებაზე. გირჩევთ, გონს მოხვიდეთ, მშვიდად რომ ზიხართ თქვენს ოფისში, დაჯდეთ და იფიქროთ იმაზე, თუ რა ელის თქვენგან მოტყუებულ ხალხს. ერთადერთი გამოსავალი გვრჩება, წესდების მიერ მონიჭებული უფლებით მოვითხოვთ ჩავატაროთ პარტიის რიგგარეშე ყრილობა და ამ ყრილობაზე გადაწყდეს პარტიის ბედი და მათ შორის ნოღაიდელის ბედიც“, — განაცხადა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოს“ წევრმა ნატო ხუხუშვილმა პრაიმ-ტაიმის პრესკლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრისას. რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების განცხადებით, ნოღაიდელმა ისინი ფინანსურ მაქინაციებში გარია, ხოლო მოძრაობის ლიდერის ვიზიტები რუსეთში პოლიტიკური ხასიათის ნაცვლად მისი ფინანსური კეთილდღეობისთვის იყო მიმართული.

## 160 ათას ბავშვს სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემათ

**2011 წელს** უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებს 70 ათასი ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის სკოლის ასაკის ბავშვებსაც გადაეცემათ, ამის შესახებ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ნიკა გილაურთა შეხვედრის შემდეგ განაცხადა.



— არის რამდენიმე პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც პრემიერთან შეთანხმება მოვახერხეთ. კერძოდ, კი განათლების სისტემის სოციალური კუთხით, რომლის შედეგადაც მომავალ წელს არა მხოლოდ 57 ათასქულიანი, ასევე უფასო სახელმძღვანელოებს 70 ათას ქულიანი ოჯახების ბავშვებიც მიიღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ 160 ათასი ბავშვი უფასო სახელმძღვანელოებით იქნება უზრუნველყოფილი, — აღნიშნა თარგამაძემ.

მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე მან სტუდენტებისთვის სახელმწიფო გრანტების გაზრდის საკითხიც დააყენა, თუმცა ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ამისა, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის განმარტებით, პრემიერმა პირობა მისცა, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული სოფლებიდან სტუდენტებს სწავლის საფასურს გადახდაში დაეხმარება.

## წინგადადგმული ნაბიჯი მეწარმეთა სასარგებლოდ

**2026 წლამდე** ტურისტულ ზონებში მეწარმეები მოგებისა და ქონების გადასახადისგან განთავისუფლდებიან. აღნიშნული ინციატივა საქართველოს მთავრობას ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც ცვლილებები შედის „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“.

კანონპროექტის თანახმად, მოგების გადასახადისგან 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურებისგან მიღებული მოგება და ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მიწის ნაკვეთის ღირებულება, ასევე ამ ნაკვეთის პირველადი რეალიზაციის შემთხვევაში მისგან მიღებული მოგება თავისუფლდება.

ამასთან, ქონების გადასახადისგან თავისუფლდება ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონებაც. აღნიშნული კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში საქართველოს მთავრობამ უკვე მოახდინა.

ХО-ЭЮВ-ЭНО

### წკეპლიკები

## მოზოლების ერთი „კლასიკური“ მაგალითი



**ხელისუფლება და კერძოდ, უმაღლესი ხელისუფალი (ვისაც გჯერათ მაგის უმაღლესობისა) ხშირად რომ გვაბოლებენ, ვიცით ეს ჩვენ და „სრ“-ის ფურცლებზეც არაერთხელ გახმიანებულა.**

წინამდებარე წერილი მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო გადაცემის მოსმენამ „შთამაგონა“, როცა მორიგ ჯერზე მოგვაბოლეს, თანაც საკმაოდ ურცხვად.

ახლახან პარლამენტარი ირაკლი ქავთარაძე, საგარეო საქმეთა კომიტეტის ახალგაზრდა წევრი, საქართველოს პრეზიდენტმა აზერბაიჯანში ელჩად წარადგინა და პარლამენტმაც ერთხმად დაამტკიცა. ირაკლის ელჩობა რატომღაც არ შედგა და ოფიციალურად ეს ასე ახსნეს: თურმე აზერბაიჯანში საქართველოს მომავალი ელჩი (უკვე დამტკიცებულიძ გამოცდილი „საგარეო“ კადრი ყოფილა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან იმისი წასვლით „ის“ კომიტეტი დასუსტდებოდა; კი მაგრამ, თქვე კაი ხალხო, მოყვანილი არგუმენტები პრეზიდენტის წარდგენისა და პარლამენტის მიერ კანდიდატურის დამტკიცებისას არ იყო ცნობილი, არ „მუშაობდა“ და გვიან მიხვდნენ, ვაი, დედა, რა კადრს ვკარგავთო?

ალბათ სხვა რაღაცა იყო მიზეზი ელჩად იმ ახალგაზრდა კაცის არშედგომისა, მაგრამ სიმართლე ხშირად ხელს რომ არ აძლევთ, რომ არ „აწყობთ“? ან რა ეშმაკად უნდათ ეგ სიმართლე – მოზოლება აგერ არ არის? საიმედო სამთავრობო ტექნოლოგია აგერ არ არის?..

## მინისტრის მოადგილის „მარგალიტები“

**მშობლიური სამეტყველო ქართულის დამახინჯების მაგალითებს, რა თქმა უნდა, უცხო ენებზე გვარიანად მოჭიკჭიკე ქვეყნის პრეზიდენტიც არცთუ იშვიათად „დემონსტრირებს“, და რა გასაკვირია, რომ ხელქვეითებიც არ ჩამორჩებიან...**

არაფერიც არ უშავს, თუ ერთხელაც ნინო კალანდაძეს „ჩავუშვებთ“, საგარეო საქმეთა მინისტრის კოხტა მოადგილეს.



ჟურნალისტებს ის ასტანაში (ყაზახეთიძ მიმდინარე სამიტზე ინფორმაციით წარუდგა აქ, თბილისში, და ნახეთ, რა „მარგალიტები“ დააფრქვია ლამაზი პირით!

„რასაკვირველია, ძალიან მძიმე სამუშაო მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფების ფორმატში... რასაკვირველია, საქართველოსთვის უპირველეს მნიშვნელობას წარმოადგენს ის, რომ... რასაკვირველია, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის მდგომარეობაში ვიმყოფებით“... (რითია ეს ნაკლები ტელეჟურნალისტთა საყვარელ გამოთქმებზე „ფხიზელ მდგომარეობაში“ და „ნასვამ მდგომარეობაში“... გარდა ამისა, რა უბედურებაა „რაისა კვირკველიას“ ამდენი შეწუხება... – **ლ. გ.**ძ.

მკითხველს მცირე „საშინაო დავალების“ შეთავაზებას გავუბედავ: ახალგაზრდა ქალბატონი ნინოს გამონათქვამებში დავაფიქსიროთ შეცდომები თუ ხარვეზები და გავასწოროთ...

**ლუკა გორგაძე**

საერთო წარსული

# მე თუ თურქი ვარ, საიდან აღმოვჩნდი საქართველოში?

## გასახლებული წინაპრების გაორებული შთამომავლები

***1944 წლის 15 ნოემბერს საქართველოს სამხრეთ სასაზღვრო ზოლიდან — ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებიდან, 222 სოფლიდან 125 ათასი ადამიანი გაასახლეს შუა აზიის რესპუბლიკებში, როგორც არასაიმედო მუსლიმანები და თურქებად შერაცხული მოსახლეობა. დროთა განმავლობაში ისინი ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გაიფანტნენ: ყაზახეთში, უზბეკეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში... ზოგი 1995 წელს თურქეთში გადასახლდა, ზოგიც — ამერიკაში 2000 წლის შემდეგ. თითქმის შვიდი ათეული წლის შემდეგ ისინი სამშობლოს უბრუნდებიან, მაგრამ ზოგი თურქად ბრუნდება, ზოგი მესხად, ზოგი „თურქ-მესხად". ვინ არიან ისინი სინამდვილეში? — პასუხი არაერთგვაროვანია. 70 წლის ჟანა მერდილიევა ერთი წლის წინათ „თურქი-მესხების საერთაშორისო ორგანიზაცია „ვათანმა" აზერბაიჯანიდან ჩამოიყვანა სამცხე-ჯავახეთში, როგორც რეპატრირებული. კითხვაზე — ეროვნებით ვინა ხარ? იგი ამბობს: „ჩვენ თურქები ვართ, თურ-ქე-ბი!"***

„მე თუ თურქი ვარ, საიდან აღმოვჩნდი საქართველოში? არა მარტო მე, მთელი 210 სოფლის მცხოვრები, რომლებიც ტობადან გაგვასახლეს, — წერდა რეპატრირებული მესხი იასონ ვარსკნელიძე, რომელიც თავის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ამტკიცებდა, „ჩემი ფესვები მესხეთის მიწაშიაო". „როგორ მოხდა, რომ ტობაში, სადაც უმრავლესობა მაჰმადიანები იყვნენ, სამი ქრისტიანული ეკლესია იყო? ვიცი, რომ ჩემი წინაპრები ქართველი აზნაურები იყვნენ. სწორედ ისინი აშენებდნენ ეკლესიებს. ან საიდან გაჩნდა ამდენი ქრისტიანული საფლავი? ჩემი პაპის პაპას ხასანს ეძახდნენ. გასაბჭოების შემდეგ მისი სახელის მიხედვით ხასანოვებად ჩაგვწერეს. მაგრამ მამა ყოველთვის გვეუბნებოდა, ჩვენი ნამდვილი გვარი ვარსკნელიძეაო. ჩვენს სოფელში ყველა მაჰმადიანმა იცოდა თავისი ქართული გვარი. ესენი იყო: დავქარიძე, გაგნიძე, თამარაძე...

სოფლის სახელწოდება ქართული სიტყვა „ტბიდან" მომდინარეობს. შემოსასვლელ გზას ყაფანი ერქვა, რაც ქვით მოკირწყლულს ნიშნავდა. იყო სხვა სახელწოდებებიც: კურდღელა, ზეუბანი, აქაურა... ნაფუძარი, კლდეკარა, ჩიტიღელე, სამარილე. ყველა ეს ქართული სახელწოდებაა, არც ერთი თურქული. თუ ჩვენ, იმ ადგილების მკვიდრი მოსახლეობა, თურქები ვიყავით, რატომ თურქული სახელწოდებები არ დავარქვით მათ? ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ვართ ქართველები და თურქების მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ იძულებით მივიღეთ ისლამი...

ჩემს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს, ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაშია. სამოცდათორმეტი წლისა ვარ და ამ ასაკში აღვიდგინე ჩემი ისტორიული გვარი — ვარსკნელიძე", — წერდა იგი სიამაყით.

* * *

ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრების შემდეგ მწვავედ დადგა სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების საკითხი. ვალდებულება 1999 წელს აიღო ჩვენმა ქვეყანამ. მაჰმადიანი მოსახლეობის საქართველოში ჩამოსახლების პროცესი 2011 წელს უნდა დასრულდეს. დღესდღეობით 319 ათასიდან 420 ათასამდე არიან მესხები. მათგან საქართველოში დაბრუნების სურვილი დაახლოებით 60 ათას ადამიანს აქვს, თუმცა ამ დროისთვის მხოლოდ 7 ათასამდე განცხადებაა შემოსული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადასახლებულთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში.

1969-2010 წწ. 200 ოჯახი (სულ 1000-მდე ადამიანი) აქა-იქ უკვე ჩასახლდა საქართველოს რაიონებსა და სოფლებში. ჯავახელი ადგილობრივები ყვებიან, რომ იმ სოფლებში, სადაც კათოლიკე სომხები ცხოვრობენ, რეპატრირებულები არ შეუშვეს. ამის გარდა მათთვის პრობლემაა მოქალაქეობის მიღება, სახლის ყიდვა-გაყიდვა, გადაფორმება-დამტკიცება და ა. შ.

ჩვენი სტუმარია 36 წლის **სანდრო ხოზრევანიძე.** ის ხალილ გოზალიშვილის სახელობის მსოფლიო მესხთა საერთაშორისო კონგრესის (ასოციაცია „ხსნის") პრეზიდენტია, უკვე დიდი ხანია საქართველოში ცხოვრობს და რეპატრირებულის სტატუსის მაძიებელთა ყველა პრობლემა და საწუხარი კარგად იცის.

— აზერბაიჯანში დავიბადე და გავიზარდე, — გვიყვება იგი, — ადრე სულეიმანოვი ვიყავი. 90-იან წლებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ახალგაზრდა ჩამოვედით საქართველოში. ორი წელი ვსწავლობდით ქართულ ენას სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტში, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. სირთულეები, რა თქმა უნდა, გვქონდა. ძალიან გამიჭირდა გვარის აღდგენა და სახელის შეცვლა. საკმაოდ დიდი თანხა დავხარჯე მაშინ, არადა ჩემთვის პრინციპული იყო გვარის აღდგენა.

**— რატომ?**

— საქართველო ჩემი მიწაა. იქ სამი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომ საქართველოდან არიან. ასწავლიან მის ნამდვილ ქართულ გვარს, სოფლის სახელწოდებას. იქ სულ სამშობლოში დაბრუნებაზე საუბრობენ. ზოგი დაბრუნდება, ზოგი, ალბათ, არა, მაგრამ იციან, რომ მათი სამშობლო აქაა, ჩვენი მიწა მესხეთშია.

**— თქვენ უკან არ დაბრუნდით, რატომ?**

— ბევრი მართლაც უკან დაბრუნდა. მაშინ ჩამოსული ახალგაზრდებიდან უმრავლესობა საქართველოში დარჩა. სახელმწიფომ მათ რეპატრიაციაზე არ იზრუნა, არც საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილა, არც მიწის ნაკვეთით. დღემდე უსახლკარო ოჯახებად ითვლებიან. სხვათა შორის ასეთ დეტალებს ყურადღებას აქცევენ საერთაშორისო სამეთვალყურეო ორგანიზაციები და ევროპის საბჭო, იმედია, ამგვარი პრობლემები ახლო მომავალში გადაწყდება. მე არ დავბრუნდი. შევისწავლე ქართული ენა, ისტორია, ყველა ბარიერი გადავლახე და გვარი დავიბრუნე. თანაც... თბილისში, სამშობლოში რომ ჩამოხვალ, ისეთი თბილი რაღაცაა... უკან ვერ მიდიხარ. მამის გვარი კი აღვიდგინე, მაგრამ სამწუხაროდ, დედის გვარის აღდგენა ვერ შევძელი. დედას სულეიმანოვა უწერია, არადა ანანიაშვილია. ავტომატურად მეტისი გამოვდივარ.

**— გვარის აღდგენა ახლა რთული პროცესია?**

— მესხთა რეპატრიაციის შესახებ კანონი მიიღეს, მაგრამ თორმეტი-ცამეტი საბუთის წარდგენაა საჭირო, მთელი რიგი ბიუროკრატიული მექანიზმი მოქმედებს. 2005 წლის შემდეგ კი განსაკუთრებით გართულდა ეს პროცესი. ასევე პრობლემურია მოქალაქეობის მიღება. სახელმწიფო ხელს უშლის ამ პროცესს, იმის მაგივრად, რომ პირიქით, ხელი შეუწყოს და გაამარტივოს ჩვენი სამშობლოში დაბრუნება. ჩემი ორგანიზაციის მთავარი მიზანიც სწორედ ისაა, რომ მესხების დაბრუნებას შეუწყოს ხელი, მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფომ ქართული გვარების აღდგენას, ქართული ენის შესწავლას და რეპატრირებული მესხების ქართულ გარემოსთან და საზოგადოებასთან ადაპტაციის პროცესს.

**— სანდრო, ჩვენი სმენა შეეჩვია სიტყვა „თურქ-მესხებს", ჩვენთან ასე გიწოდებთ, მაგრამ არც ერთხელ სიტყვა „თურქი" არ გიხსენებია.**

— საქართველოდან გასახლებულ მაჰმადიან ქართველებს შორის 1957 წლამდე ორიენტაციაზე საუბარი არასოდეს ყოფილა. ამბობდნენ, ეროვნებით ქართველი ვარ, სარწმუნოებით — მუსლიმანი. სიტყვა „მესხი" უმრავლესობამ არც იცოდა.

1944 წლიდან 1957 წლამდე დეპორტირებული მესხები შუა აზიაში საკომენდანტო რეჟიმის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ერთი სოფლიდან მეორეში უნებართვოდ გადასვლაც კი ეკრძალებოდათ. 1957 წლიდან კი დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად. გადასახლებული მესხური მოსახლეობის ნაწილი საქართველოსთან ტერიტორიული სიახლოვის გამო აზერბაიჯანში ჩასახლდა იმ იმედით, რომ დაბრუნება მათთვის ადვილი შესაძლებელი იქნებოდა. საბჭოთა კავშირის სუკი ყველანაირად ცდილობდა დეპორტირებული მესხების გათურქებას იმ მიზნით, რომ გამუსლიმანებული და გათურქებული ქართველები ვერასოდეს დაბრუნდებოდნენ სამშობლოში. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. თანდათან დეპორტირებულ მოსახლეობაში ორი განსხვავებული ორიენტაციის მიმართულება გამოიკვეთა: პროქართული „ხსნა" ანუ კონგრესი და პროთურქული „ვათანი".



(მარცხნიდან მარჯვნივ) მოლა იუსუფი ბასატოვი — (ლორთქიფანიძე), უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ოლადინ ხამდიევი (ჩხეიძე) და სანდრო ხოზრევანიძე

**— დღეს საკმაოდ გააქტიურებულია „ვათანი", რომელიც ცდილობს „თურქების" დაბრუნებას საქართველოში.**

— სამწუხაროდ, მათ ძალიან დიდი დაფინანსება და ხელშეწყობა აქვთ მოსკოვიდან, ყაზახეთიდან, თურქეთიდან, მუსლიმური ქვეყნებიდან. ხალხში სპეციალურად ნერგავენ პროთურქულ ტენდენციას. მათ ძლიერი აგიტატორები ჰყავთ და ხალხს უნერგავენ იმის შეგნებას, რომ ისინი თურქები არიან. კონგრესს (ორგანიზაცია „ხსნას") არავინ არ ეხმარება. ქართულმა სახელმწიფომაც ზურგი გვაქცია...

წლებია საქართველოს ხელისუფლებისგან ვითხოვთ კონგრესის საქმიანობისთვის საოფისედ შენობის ან ფართის გამოყოფას, რათა აქტიურად შევუწყოთ ხელი რეპატრიანტებში ქართული ცნობიერების გაღვივებას. ამის მიუხედავად, ჩვენს წინადადებებს, თხოვნას, მოთხოვნას ყურადღებას არავინ არ აქცევს. ჩვენთვის ერთი ოფისის გამოყოფა გაჭირდა. სამაგიეროდ, კარგად მუშაობენ პროთურქული ორიენტაციის ორგანიზაციები. ერთის მაგივრად ორი ოფისი აქვთ გახსნილი თბილისსა და ახალციხეში. ჩვენ ვერანაირად ვერ ვახერხებთ საქმიანობას, თუნდაც უსახსრობის გამო, ამასობაში კი ინტენსიურად მიდის რეპატრირებულთა გათურქების პროცესი. ჩემი აზრით, ეს მთელი ქვეყნისთვის უნდა იყოს პრობლემა და არა თითო ოროლა ადამიანისთვის. ამის მაგივრად სახელმწიფო აბსოლუტურად იგნორირებას გვიწევს. რა გახდა ჩვენთვის ერთი ოფისის გამოყოფა, ძალიან მიკვირს? ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ არავითარი „თურქი-მესხი" არ არსებობს. ჩვენ მესხები ვართ, სარწმუნოება თუ გვაქვს მაჰმადიანური, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ თურქები ვართ.

**— ნუთუ ჩვენს მთავრობას გაცნობიერებული არა აქვს, ვის აბრუნებს სამშობლოში?**

— ძალიან ბევრი კითხვა მაქვს. ყველანაირად ხელს უწყობენ თურქული ორიენტაციის ორგანიზაციებს. ყოველთვის უპირატესობას მათ ანიჭებენ, არ ვიცი, რატომ? ეტყობა, სახელმწიფოს ის ურჩევნია, რომ ჩვენ ეროვნულ უმცირესობად გამოგვაცხადოს, ეტყობა, მეტ სარგებელსა და დაფინანსებას ელოდებიან ევროპისგან, თორემ სხვა მიზეზს ამის ასახსნელად ვერ ვპოულობ. რა თურქი-მესხები, ჩვენ ქართველები ვართ. ამ საკითხზე შეხვედრა გვქონდა უწმინდესთან და უნეტარესთან ილია II-სთან. მისი დიდი იმედი ყველა მესხს აქვს. დახმარება აღგვითქვა...

**— „ვათანის" პრობლემა მხოლოდ ორიენტაციაშია?**

— „ვათანის" მიზანი მესხების სამშობლოში დაბრუნება არაა, არამედ ამას საქართველოზე ზემოქმედებისთვის გამოიყენებენ. მათი მიზანია, მესხები მესხეთში აჰსქა თურქების ფორმით დაბრუნდნენ. აქ აშკარად არის ჩარეული მოსკოვი, რომლის ცენტრი ანკარაში გადის.

**— და ამ ყველაფერში რა საშიშროებას ხედავთ?**

— თუკი მესხები თურქული ორიენტაციით დაბრუნდებიან სამცხე-ჯავახეთში, იქ თავიანთ „სტამბულს" შექმნიან ხვალ და ზეგ და დამთავრდა... მესხეთიც დაკარგულია.

* * *

ასეთი პათოსით მთავრდება ჩვენი საუბარი. მას გული სამშობლოზე შესტკივა, საქართველოს მთლიანობის იდეისთვის იბრძვის. სანდრო ხოზრევანიძეს ქართული სულის გარეშე მესხეთი ვერ წარმოუდგენია, დიახ, ის მაჰმადიანია, მაგრამ ქართველი. ჩვენს ხელისუფლებას კი რატომღაც ასეთი შვილების მიმართ გულმავიწყობა დასჩემდა.

მაგრამ ვინც სამშობლოს ნაწილად მიიჩნევს თავს, ამგვარი „ამაოებანი" არასოდეს ავიწყდება. იასონ ვარსკნელიძეს არაერთგზის უთქვამს და დაუწერია: „ღრმად მწამს, რომ ქართველი ვარ. თუ ღმერთმა ადამიანი მიწისგან შექმნა, მაშინ ჩვენ მესხეთის მიწისგან ვართ შექმნილი. სხვაგან ფუფუნებაში ცხოვრებას ჩემი სოფლის — ტობას ნანგრევებს ვარჩევ... მე ვიპოვე ის ადგილი, სადაც ჩვენი სახლი იყო. ყური დავადე მიწას. მაგმური სიღრმიდან მომესმა: „ეი! იასინ! სად ხარ ამდენ ხანს! იცოდე, იასინ, მე კი არა ვარ შენი, შენ ხარ ჩემი! ვფიცავ, მე ეს გავიგონე".

სამწუხაროდ, სამშობლოში დაბრუნებული იასონ ვარსკნელიძე მესხთა რეპატრიაციისთვის ბრძოლას შეეწირა, თუმცა ისევ და ისევ მავანთა გამო, ბიუროკრატიული მანქანის ყალბი მოქმედებით მისი ანდერძის საპირისპიროდ ქართულ მიწას არ მიაბარეს და აზერბაიჯანში, ყაზახის რაიონში დაასაფლავეს, იქ, სადაც მისი შვილები ცხოვრობდნენ.

წლები გადის... ისტორია მეორდება... რეპატრირიანტი მაჰმადიანები მალე სამშობლოს დაუბრუნდებიან. ჩვენი ხელისუფლებისთვის სულ ერთია, როგორებად დაბრუნდებიან ისინი — ღვიძლებად თუ უბრალოდ, რეპატრირებულებად. გაურკვეველი ორიენტაციის — თურქებად თუ მესხებად... არადა, ამ დროს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პატარა სამშობლოსთვის ამგვარ გლობალურ პრობლემებს.

**თეა მოსია**



რეპატრირებულ მესხთა შეხვედრა ევროკომისიის დელეგაციასთან

**მშიერი ფანტაზია**

***საქართველოს ხელისუფლება, უფრორე პრეზიდენტი სააკაშვილი, ფანტაზიორობის ღვთაებრივი ნიჭით რომ არიან დაჯილდოებულ-სახელცხებულნი, ეს მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ არა თუ აღიქვა, უკვე ირწმუნა კიდეც. თუმცა ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას, მათ ფანტაზიას შიმშილობა დავწამოთ და ქვეყანას, სადაც ეს ფანტაზიები მეგრული თიკნებივით ტყუპ-ტყუპად იბადებიან, შიმშილისგან თავის დაღწევის უკანასკნელი იმედი გადავუწუროთ. ღმერთმა არ ინებოს, თორემ თავად გუნებიერად გამომძღარ ხელისუფლებას, რომელიც ღატაკ მოსახლეობას დღემდე მშიერი ფანტაზიებით კვებავს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიმძიმის პრობლემები შეექმნებოდა — მსოფლიოში უპირველესი რეფორმატორი ქვეყნის იმიჯის დამკვიდრებაში, ბიზნესის დასაწყებად უიოლესი პირობების შექმნაში და თუნდაც, გნებავთ, დემოკრატიის მეშუქურეობაში, რაშიც საქართველო, უკვე მერამდენე წელია, ჩემპიონობას არავის უთმობს.***

# ბაყაყების ექსპორტი ჩაგვივარდა, სამაგიეროდ ჭაობების დაშრობის ექსკლუზივი ამოტივტივდა!..



კალამი გამექცა არა? თუმცა რა გასაკვირია, ულაგამობა დაგჩემდეს იმ ქვეყანაში, სადაც ისეთი დაქცეულ-დანგრეული დარგის თავკაციც კი, როგორიც სოფლის მეურნეობის მინისტრია, ვეღარ უმკლავდება მოძალებულ იდეებს და ღიად და გამჭვირვალედ ფანტაზიორობას იწყებს. ალბათ მიმიხვდით, რა ფანტაზიორობაზეა ლაპარაკი და ალბათ არც ის დაგვიწყებიათ, წლევანდელი აგვისტოს იმ გაუსაძლის დღეებში, როცა ადამიანს აზროვნება საერთოდ უჭირს, ბატონმა ბაკურ კვეზერელმა როგორი გამჭრიახობით რამხელა ღლავს გამოჰკრა ხელი. ახლა ჩვენო, თქვა მინისტრმა, ექსპორტის მხრივ ასეთი გასაჭირი რომ გვაწევს, ნიორი ირანიდან შემოგვაქვს, ხოლო კიტრის მწნილი ვიეტნამიდან (მთლად ასე გაშიშვლებულად არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმა), რატომ არ შეიძლება, ტვინი გავანძრიოთ და მსოფლიო ბაზარს ჩვენც რაღაცა შევმატოთო.

— მაინც რაო? — ცქვიტეს ყური ერთ დროს ქართული ჩაის შემოსავლებით გულაჩუყებულმა და ახლა ხმელაპურზე დარჩენილმა გურულებმა.

— რა და, ჩემო ბატონო, ჩაის ნაპლანტაციარ ჭაობებში ამდენი ბაყაყი რომ მოშენდა და ყიყინით გულს გიწვრილებთ, ერთხელ მაინც არ გიფიქრიათ, მაგათი ექსპორტი რა შემოსავალს მისცემს ქვეყნის ბიუჯეტს და თითოეულ თქვენგანს?

გურულები, რა თქმა უნდა, უმალ წამოეგნენ ანკესზე ( აბა, ბიჭო, სულ მაგის ჩიტები არიან!), თავად მინისტრი კი საკუთარი ინიციატივიდან მოსალოდნელი შედეგის წინასწარჭვრეტით ბაყაყივით გაიბერა. როგორც ბაკურ კვეზერელმა მაშინ განაცხადა, აჭარისა და გურიის რეგიონებში მალე შეიქმნება ბაყაყების მომშენებელი მეურნეობები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებს ამ დეფიციტური და უსაყვარლესი პროდუქტით წელიწადის ყოველ დროს შეუფერხებლად მოამარაგებენო.

თქვა მინისტრმა და იქვე დამთავრდა საქართველოდან ევროპაში ბაყაყების ექსკლუზიური ექსპორტის ისტორიაც. **ქართული პრესა, რომელმაც უმალ აიტაცა ახალგაზრდა მინისტრის მრავლისმეტყველი ინიციატივა, იქით ეცა, აქეთ ეცა, არა მარტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები, მთელი აჭარა და გურიაც შემოირბინა, მაგრამ ბაყაყების მომშენებელი მეურნეობების ნასახსაც ვერ მიაგნო,** რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ბაყაყებზე, რომლებმაც, როგორც ჩანს, საკუთარი ქვეყნის „პატრიოტები“ აღმოჩნდნენ და ექსპორტზე მტკიცე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ ცოტა უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს ჟურნალ „ეკონომისტის“ მიერ მოპოვებული მონაცემები იმის შესახებ, რომ 2009 წელს საქართველოდან საფრანგეთში თითქოს 250 ათასი ქართული ბაყაყი გაიგზავნა, ხოლო წელს ეს მაჩვენებელი ერთიორად გაიზრდება. ვერაფერს იტყვი, ეტყობა, ფრანგებმა ის ბაყაყები დააგემოვნეს, რომლებიც კვეზერელმა გურიისა და აჭარის კი არა, სამინისტროს „გასაიდუმლოებული“ მეურნეობიდან გაუგზავნა(!).

რატომ ჩაფლავდა კვეზერელის ინიციატივა? მას ზოგ-ზოგნი კონკრეტული მიზეზითა და გარემოებით ხსნიან. მათი განმარტებით ხელისუფლებაში რამდენი სკამიცა დგას, მასზე იმდენი ფანტაზიორი ზის, მაგრამ იმათგან ავტორობის უფლება მხოლოდ ერთ სუბიექტს — მიხეილ სააკაშვილს აქვს უზურპირებული. ჰოდა, აქედან გამომდინარე, რანაირად შეისხამდა ფრთებს კვეზერელის ფანტაზია, როცა პრეზიდენტს თურმე ბაყაყების მოშენების ნაცვლად, მათი განადგურება და ჭაობების დაშრობა ჰქონია გადაწყვეტილი. ამის თაობაზე მან 18 ოქტომბერს გაუმხილა კახეთში, შუა მინდორში, სკამებზე ჩამომსხდარ ფერმერებს. ახლაო, განაცხადა პრეზიდენტმა, როცა ქვეყანა რეფორმების ყვავილობის სტადიაშია, ვერაფრით ვერ შევეგუებით იმას, რომ სოფლის მეურნეობაში ჩავარდნები გვქონდესო. გაუგებარია, რატომ უნდა იძლეოდეს ეს დარგი მთლიანი შიდა პროდუქტის 8-10 პროცენტს, მაშინ, როცა სოფლად ქვეყნის მთელი მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტია დასაქმებულიო.

პრეზიდენტი ფერმერებთან შეხვედრისას ახალ ინიციატივაზე ალაპარაკდა. როგორც მან განაცხადა, უახლოეს პერიოდში ქვეყანა შეძლებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის 35 პროცენტი თავადვე დაიკმაყოფილოს. როგორ და რანაირად? ძალიან მარტივადო — გაიზრდება ბიუჯეტიდან დარგის დაფინანსება, ადგილობრივი დაბალმოსავლიანი სიმინდისა და ხორბლის ჯიშები ჩანაცვლდება მაღალმოსავლიანი ამერიკული ჯიშებით. **„ამოვაშრობთ კოლხეთის დაბლობს, რასაც დაახლოებით 2012 წლისთვის ვვარაუდობთ. იქ არის უამრავი რაოდენობის მიწა, რომელიც საექსპორტოდ შეიძლება გამოყენებული იქნას“ — დასძინა სააკაშვილმა.** პრეზიდენტმა რატომღაც ხელიდან გაუშვა ბაყაყების ექსპორტის შესაძლებლობა, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, ვიდრე მთავრობა ჭაობების ამოშრობას დაიწყებდეს(!?).

ქვეყნის თავკაცს, როცა დაჭაობებული მიწების ამოშრობაზე საუბრობდა, დაავიწყდა ეთქვა, რომ მთავრობის უთავო პოლიტიკის შედეგად, **დღეს საქართველოში სახნავ-სათესი მიწებისა და სავარგულების 70 პროცენტი დაუმუშავებელია. ეს არც მეტი, არც ნაკლები, არის 540 ათასი ჰექტარი, რაც ბუნებრივად ბადებს კითხვას, თუ ნამდვილი მეურნე და ქვეყნის გულშემატკივარი ხარ, როცა ამდენი მზა ფართობი დაუმუშავებელი გაქვს, რა დაჭაობებული მიწების ამოშრობა აგიტყდა?** ვინმემ დაიანგარიშა, რა დაუჯდება სახელმწიფოს ამ ჭაობების დაშრობა ან ეკოლოგიურად რამდენად გამართლებული იქნება ამის გაკეთება? თავის დროზე ხომ აღნიშნული ტერიტორია კომუნისტებმაც დააშრეს, მაგრამ მომდევნო ხელისუფალთა წყალობით ისევ დაჭაობდა.

ფანტაზიამდიდარ ჩვენს **პრეზიდენტს, ეტყობა, დაავიწყდა ან არ იცის, რომ საქართველო მიერთებულია გაეროს კონვენციასთან ბუნებრივი ფილტრის, ანუ ჭაობების დაცვის შესახებ და მსგავსი ქმედების უფლება მას არა აქვს.** ესეც არ იყოს, ცნობილია, რომ მსგავსი ჭაობების დაშრობამ არც ერთ ქვეყანას არ მოუტანა სიკეთე. ის ქვეყნები იძულებული გახდნენ ხელახლა დაეჭაობებინათ ასეთი ტერიტორიები, რადგან გარემოს განვითარებისთვის საჭირო ოპტიმალური თანაფარდობა დაირღვა.

„ამ ჭაობებში 294 უნიკალური სახეობა ბუდობს და თუ ტურიზმის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, ეს ტურიზმის ნაწილია. თუ სააკაშვილი ამის განაგურებას აპირებს, ეს საერთაშორისო სკანდალის ტოლფასი იქნება“, — აცხადებს მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე. სოფლის მეურნეობის ექსპერტის პაატა კოლუაშვილის განმარტებით, **„კოლხეთის ჭაობებში უდიდესი სიმდიდრე ძევს. აქ არის იმდენი ცილა, რომ მთელი ევროპის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. აქ არის თერმული წყლები და იმდენი ორგანული სასუქი, ვერც კი წარმოიდგენთ. ჩვენ კი კოლხეთის ნიადაგების რუკაც არ გაგვაჩნია — აბსოლუტურად შეუსწავლელია. კოლხეთის დაბლობი ქვეყნის სამსახურში რომ უნდა ჩადგეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ოპტიმალური ვარიანტი უნდა შემუშავდეს, რათა არ მოხდეს ამ უნიკალური სიმდიდრის განადგურება“.**

ეს სპეციალისტების აზრია, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას და პრეზიდენტს სულაც ერთ ადგილზე ჰკიდიათ. მთავარია სააკაშვილს დაესიზმროს რაიმეს გაკეთების იდეა და მისი რეალიზაცია ქვეყანას დაანგრევს თუ ააშენებს, ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს. ყოველ შემთხვევაში დღემდე ამ გზით მივაღწიეთ მსოფლიოში ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყნის იმიჯს და მას აწი რატომღა უნდა გადავუხადოთ?!.

**ოთარ ხუციშვილი**

---

**საქმე № 2/813/2010.**

## განჩინება
### საქართველოს სახელით

**სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

30 ნოემბერი, 2010 წელი ქ. ბათუმი

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მოსამართლე ლია ავალიშვილი**

**განხილვის ფორმა:** ზეპირი მოსმენის გარეშე;

**მოსარჩელე:** ს.ს. „თიბისი ბანკი“;

**წარმომადგენელი;** ვასილ ტიტვინიძე;

**მოპასუხეები:** შპს „ლაიმედი“, მერაბ აბაშიძე, ჯემალ აბაშიძე, შპს „ლაშიკა“, ფრიდონ დარჩიძე, ოთარ ბერიძე, შალვა ბარაქაძე, დუგლას ჯაველიძე, ბადრი ირემაძე, გიორგი ზაქარიაძე, ამხანაგობა „პროგრესი“-1-ი, შალვა აბაშიძე, დავით აბაშიძე, ნაზია თედორაძე, იური დარახველიძე და დავით ჭკუასელი;

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაცია;

**სასამართლომ გამოარკვია:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე № 2-813/2010, ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს სარჩელის გამო, მოპასუხე შპს „ლაიმედ“-ის, მერაბ აბაშიძის, ჯემალ აბაშიძის, შპს „ლაშიკას“, ფრიდონ დარჩიძის, ოთარ ბერიძის, შალვა ბარაქაძის, დუგლას ჯაველიძის, ბადრი ირემაძის, გიორგი ზაქარიაძის, ამხანაგობა „პროგრესი“-1-ის, შალვა აბაშიძის, დავით აბაშიძის, ნაზია თედორაძის, იური დარახველიძისა და დავით ჭკუასელის მიმართ თანხის დაკისრების, იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მოპასუხე – დავით ჭკუასელსა და ბადრი ირემაძეს სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე რამდენჯერმე გაეგზავნათ სასამართლოს უწყება, სასამართლოს მთავარი სხდომის დღის შესახებ, რომელიც დანიშნულია 2010 წლის 10 დეკემბერს, 11:00 საათზე, მაგრამ ადრესატებზე უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდა, მოპასუხეები სარჩელში მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობენ. მოპასუხე დავით ჭკუასელს უწყება გაეგზავნა ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილებში, ხოლო ბადრი ირემაძეს უწყება გაეგზავნა ხელვაჩაურის რაიონ სოფელ კახაბერში და ქ. ბათუმში, კობალაძის ქუჩა № 9, ბინა № 4-ში, მაგრამ ადრესატებისათვის უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდა (კურიერის მიერ შედგენილი აქტების თანახმად, დავით ჭკუასელი ქედის რაიონის სოფელ ჯალაბაშვილებში არ მოიძებნა, ბადრი ირემაძე კახაბრის რწმუნებულის განმარტებით, სოფელ კახაბერში არ ცხოვრობს. ასევე, ქ. ბათუმში, კობალაძის ქუჩა № 9, ბინა № 4-ში ბადრი ირემაძე არ ცხოვრობს).

საქმის მასალების საფუძველზე, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ დავით ჭკუასელის რეგისტრირებულ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, კორპუსი „ა“, ბინა 22, ხოლო ბადრი ირემაძის სარჩელში მითითებულ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი, კობალაძის ქუჩა № 9, ბინა № 4, ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი კახაბერი.

მოსარჩელემ წარმოადგინა განცხადება და გამოთქვა სურვილი თავისი ხარჯით უზრუნველყოს საჯარო შეტყობინების გამოქვეყნება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ვინაიდან მოპასუხე დავით ჭკუასელისა და ბადრი ირემაძის ადგილსამყოფელი უცნობია და მათ ვერ ჩაბარდათ სასამართლო უწყება დანიშნული სასამართლოს მთავარი სხდომის დღის შესახებ, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გზავნილის (უწყების) შინაარსი ადრესატს ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯითჲგანახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1) სამოქალაქო საქმეზე ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს სარჩელის გამო, მოპასუხე შპს „ლაიმედ“-ის, მერაბ აბაშიძის, ჯემალ აბაშიძის, შპს „ლაშიკას“, ფრიდონ დარჩიძის, ოთარ ბერიძის, შალვა ბარაქაძის, დუგლას ჯაველიძის, ბადრი ირემაძის, გიორგი ზაქარიაძის, ამხანაგობა „პროგრესი“-1-ის, შალვა აბაშიძის, დავით აბაშიძის, ნაზია თედორაძის, იური დარახველიძისა და დავით ჭკუასელის მიმართ, თანხის დაკისრების, იპოთეკით და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2010 წლის 10 დეკემბერს, 11:00 საათზე, დარბაზი № 5;

2) ეცნობოს მოპასუხეებს – დავით ჭკუასელსა და ბადრი ირემაძეს, რომ თუ ისინი, ან მათი უფლებამოსილი პირები არ გამოცხადდებიან ბათუმის საქალაქო სასამართლოში სასამართლოს მთავარ სხდომაზე 2010 წლის 10 დეკემბერს, 11:00 საათზე, სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს მათი დასწრების გარეშე და მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

3) საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების ასლი შესასრულებლად გადაეცეს მოსარჩელე – ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს წარმომადგენელს ვასილ ტიტვინიძეს, რომელმაც მისი გამოქვეყნება უნდა უზრუნველყოს 2010 წლის 03 დეკემბრამდე ისეთი საშუალებით, რომელიც ვრცელდება ქვეყნის მასშტაბით;

4) უწყება მოპასუხე დავით ჭკუასელისათვის და ბადრი ირემაძისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

5) განჩინება არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე ლ. ავალიშვილი**

წლები

# დვაწლმოსილი მამულიშვილი, შესანიშნავი ინჟინერი

**ბატონი გივი ღუღუნიშვილი დაიბადა 80 წლის წინათ, 1930 წლის 17 სექტემბერს, ქართული ტექნიკური ინტელიგენციისთვის კარგად ცნობილი პიროვნების ბატონ გრიგოლ ღუღუნიშვილისა და ქალბატონ ვერა ვეფხვაძის დიდებულ ოჯახში.**

1953 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტი, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობით. შემდეგ კი სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, ქ. მოსკოვში, სადაც წარმატებით დაიცვა დისერტაცია 1959 წელს. ბატონი გივი ჯერ კიდევ მოსკოვში სწავლის პერიოდში, 1956 წლიდან, მუშაობდა ინჟინერ-ტექნოლოგის, ხოლო 1959 წლიდან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

გარკვეული მეცნიერული ცოდნისა და სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ, ბატონი გივი ღუღუნიშვილი 1960 წელს ბრუნდება საქართველოში და მუშაობას აგრძელებს თბილისში სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის განვითარებაში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ბატონი გივი მთელი თავისი შრომითი ბიოგრაფიით დაკავშირებული იყო სამეცნიერო კვლევებთან, არის 100-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომისა და მრავალი გამოგონების ავტორი. მისი თეორიული და ექსპერიმენტული შედეგები სრულადაა ასახული როგორც ყოფილი საბჭოეთის ცენტრალურ სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა გ. ღუღუნიშვილის მიერ პირველად შემოთავაზებული ტექნოლოგიური პროცესი — „მასალის ზედაპირზე დანაფართა ჩამოყალიბებისა (დატანა და შეცხობა), მაღალი ძაბვისა და სიხშირის დენის ელექტრული ველის გამოყენებით“. მის მიერ დამუშავებული საბაზო მოდელირების კონსტრუქციები ნანოტექნოლოგიათა შექმნის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს.

ბატონი გივი ღუღუნიშვილის მიერ გალვანოტექნიკის დარგში დამუშავებულ მრავალ პროგრესულ მეთოდთაგან აღსანიშნავია ნაშრომი სახელწოდებით „ღუღუნიშვილის მეთოდით გამოცდა“, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს გამოქვეყნდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოცემულ გალვანოტექნიკურ ცნობარში. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი, „მაღალი ძაბვის ელექტროველებში ლითონური დანაფარის დატანის ძირითადი პრინციპები“ (ქ. მოსკოვი, გამომცემლობა „ენერგია“).

ბატონ გივი ღუღუნიშვილს მინიჭებული აქვს „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის“ და „სსრკ-ს გამომგონებლის“ საპატიო წოდება.

ბატონი გივი ღუღუნიშვილი არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის (ქ. მოსკოვი) აკადემიკოსად.

აღსანიშნავია, ბატონ გივისა და მისი მამის, ბატონ გრიგოლ ღუღუნიშვილის მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1960 წელს „საშემდუღებლო წარმოების დანადგარებისა და ტექნოლოგიის“ სპეციალობის კათედრის დაფუძნებასა და მისი სასწავლო ბაზის ჩამოყალიბებაში.

ბატონი გივი ამჟამადაც აქტიურად მოღვაწეობს მეცნიერებაში.

ვუსურვებთ ჩვენთვის საყვარელ, სამაგალითო პიროვნებას, სასიქადულო მამულიშვილს ბატონ გივი ღუღუნიშვილს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ, შემართებით შემოქმედებით მოღვაწეობას ქვეყნის სასიკეთოდ.

**საქართველოს საინჟინრო აკადემია;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ინფორმაცია



## „უნიფარმმა“ ჰოლანდიური ძროხები შემოიყვანა

**სს „კაუკაზუს აგროდეველოფმენთის“ შვილობილმა კომპანია „უნიფარმმა“ მერძეული ძროხების შემოყვანის პირველი ეტაპი დაასრულა. კომპანიამ 64 სული ჰოლშტეინო-ფრიზის ჯიშის ძროხა ერთ-ერთი მსხვილი ჰოლანდიური საექსპორტო კომპანიისგან შეიძინა.**

**ჰოლშტეინის ჯიშის ძროხა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშს განეკუთვნება. მისი საშუალო წველადობა 6-ჯერ აღემატება ადგილობრივი ქართული ჯიშის ძროხების საშუალო წველადობას. ამჟამად, სს „უნიფარმის“ სარძევე ფერმაში ახალი თანამედროვე 240-სულიანი ძროხის სადგომის და შიდა მოწყობილობების მონტაჟი მთავრდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

შთაბეჭდილება

**ქართველებს, როგორც მრავალმხრივ „განებივრებულ“ ერს, კიდევ ერთხელ გვერგო პატივი, ჩვენი წვლილი შევიტანოთ და განვავითაროთ თანამედროვეობის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულება, როგორიცაა მოდა. რაშიც, უდაოდ დიდი დამსახურება მიუძღვის კულტურის სამინისტროს. აგერ უკვე მეორე წელიწადია გვაქვს ფუფუნება საქართველოში ჩატარდეს თბილისის მოდის კვირეული ე. წ. „Tbilisi fashion week“ (მადლობა მათ, ვინც ძალისხმევა არ დაზოგა და თანხა ბიუჯეტიდან გამოყო მსგავსი მნიშვნელობის პროექტის მხარდასაჭერად.**



# პროვინციული სნობიზმი,

## ანუ „FASHION WEEK“ ქართულად!

სულ რაღაც ერთი თვის წინათ კი, მოეწყო ასევე საქართველოს მოდის კვირეული (Gorgian fashion week). ცოტა საკვირველი არაა ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ორი მოდის კვირეულის თითქმის ერთდროულად ჩატარება?! ჩვენს კოლეგებსა და მეგობრებს მსგავსი რამ სასაცილოდაც არ ჰყოფნით. „მოდის სფეროში მოღვაწეთა დიდმა ნაწილმა საქართველო სად არის, ისიც კი გაჭირვებით იცის და თბილისის სახელით რომ გააკეთოთ, ალბათ არავინ ჩამოვაო“. — ეს ის პასუხია, რომელიც ქართველმა ორგანიზატორებმა მიიღეს ფრანგული მხრიდან, როდესაც შეთავაზება გაუგზავნეს მათ, გვინდა კვირეულს თბილისის სახელი ჰქონდესო. „პარიზის მოდის კვირეულს პარიზი რომ ჰქვია, მის შესახებ მთელმა მსოფლიომ იცის, რამდენიმე წელი უნდა ჰქონდეს კვირეულს ქვეყნის სახელი, ისევე როგორც ეს მოხდა უკრაინაში, ჩინეთშიც კი და მერე გადავიდეს ქალაქის სახელზე, ასე რომ რამდენიმე წელიწადში ჩვენი პროექტი „თბილისი ფეშენ ვიქის“ სახელით გაიმართება“. — ასეთ განმარტებას იძლევა ქალბატონი მაკა მეტრეველი (პროექტის პრეზიდენტი) და ჩვენც სხვა რა გზა გვაქვს, რომ არ ვენდოთ!

ახლა კი თვითონ კვირეულზე, რომელიც 20 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა „გრეტო პასაჟში“ და ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში, წარმოდგენილი იქნა 2011 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია. ცოტა უცნაურია, რატომ გადაწყვიტეს ორგანიზატორებმა მშენებარე შენობაში ჩვენების მოწყობა. რამდენადაც ორიგინალური იდეა არ უნდა ყოფილიყო, საეჭვოა სამშენებლო მასალებსა და მტვერში ვინმე გლამურულს ხედავდეს. თუმცაღა, როგორც ამ პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თაკო ჩხეიძემ განაცხადა, თბილისი მოდასა და გემოვნებიანი ადამიანების მხრივ ყოველთვის გამორჩეული იყოო“ — და ალბათ არც ამ შემთხვევაში დარჩებოდა უკმაყოფილო იქ შეკრებილი აუდიტორია, ბოდიში — „ელიტა“ მსგავსი გემოვნებითა და დახვეწილობით.





თბილისის მოდის კვირეული განრიგის მიხედვით მიმდინარეობდა, მასში მონაწილეობა მიიღო ოცამდე გამოცდილმა და ოცამდე დამწყებმა დიზაინერმა. კოლექციებზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევით იყო შესაძლებელი. მას ესწრებოდნენ რამდენიმე ქვეყნიდან მოწვეული ჟურნალისტი და მოდის სფეროს პროფესიონალები. ხოლო „რედისონ ბლუ ივერიაში“ 21-25 ნოემბრის ჩათვლით მოეწყო ქართველი დიზაინერების აქსესუარებისა და სამკაულების გამოფენა, სადაც დასწრება თავისუფალი იყო.

ვერაფერს იტყვი, ყველაფერს აკეთებს ეს ხალხი, რომ ქართული მოდა დაამკვიდროს საერთაშორისო სამოდელო სისტემაში. ქალბატონ მაკა მეტრეველის განცხადებით, მას შემდეგ, რაც პირველად ჩატარდა საქართველოში მოდის კვირეული, უზომოდ პოპულარები გავხდით თურმე, ჩვენზე უამრავი გადაცემა კეთდება და უამრავი რამ დაიწერა, თურმე „საკმარისია „გუგლში“ უბრალოდ ჩაწერო „ჯორჯიან ფეშენ ვიქ“ და იმდენი სტატია და მასალა ამოვა, რომ ბოლოს ვერ უპოვით“. ხედავთ თურმე რა ხდება?! მსგავსმა განცხადებამ წარმოუდგენელია არ აღაფრთოვანოს ქართველი ერისა და კულტურის მოამაგე ადამიანი!

არადა ეს ჰაერივით გვჭირდებოდა! — „ისეთ ქვეყანას როგორიც საქართველოა, სჭირდება ისეთი ევროპული ფასეულობა, როგორიც მოდაა“ — დავით ბაქრაძე. (იმედია, ბატონი დავითი დასავლურ კულტურას გულისხმობდა. ცნობისთვის: 1943 წელს პირველი მოდის კვირეული სწორედ რომ ნიუ-იორკში ჩატარდა).

გვჭირდებოდა აშკარად! ისეთ ქვეყანაში, სადაც, მხოლოდ რამდენიმე მოდელიერს აქვს საკუთარი სახელობის მაღაზია და რამდენიმე „კერვის მოყვარული ინდმეწარმეა“, რომლებიც ვერ ახერხებენ ტანსაცმლის სერიულ წარმოებას, მარტივი მიზეზის გამო — ბაზარი უბრალოდ არ არსებობს! გვჭირდებოდა აშკარად?!

ქვეყანაში, სადაც არ არსებობს წესიერი ინფრასტრუქტურა, არ არსებობს და იკარგება კულტურული ფასეულობები, ის „ელიტა“, რომელიც თავს იმკვიდრებს „არარსებული შოუ ბიზნესში“, ცდილობს „დაგვაბოლოს“ და დაგვაჯეროს, შავი თეთრიაო (საოცრად არადამაჯერებლად), იმსახურებს ყოველგვარ ანტიპათიას და ქილიკს, რომელიც, არ გვაკლდა თუნდაც საერთაშორისო ასპარეზზე. არ არის საჭირო, რომ ის სიმახინჯე, რომელსაც გარედან თითქოსდა მშვენიერი სამოსი აცვია, გავაშიშვლოთ და წარვადგინოთ იმ უცხოეთის აუდიტორიის წინაშე, რომელსაც აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია თვალებში შევციცინებთ.

საყოველთაო აღიარებით, მოდის კვირეული, სანახაობასთან ერთად, სერიოზული კომერციული და შემოქმედებითი საქმიანობის პერიოდია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ჩვენთან ჩატარებულ კვირეულზე, ყოველგვარ აზრდაკარგულზე, უფრო სწორედ, გართობის მცდელობაზე (ისიც ცუდად დაგეგმილზე). რამდენიმედღიანი „ფაციფუცი“, როგორც მოსალოდნელი იყო, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე ჩამთავრდა, და დაგვემშვიდობა.

ჩვენ კი, მოუთმენლად დაველოდებით მომავალი წლის გაზაფხულს, როდესაც „ეფემერული აღტკინებით“ გვამცნობენ „Tbilisi fashion week“ დაბრუნებას.

**ლუკა წერეთელი**

ადამიანი დროში

***არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებისა და შემოქმედების ათეული წლები ჩუმ, უპრეტენზიო შრომასა და გარჯაში გაილევა და მათი შეუმჩნეველი და უანგარო მოღვაწეობის ხიბლი და მადლი მხოლოდ ღირსსახსოვარ თარიღებზე წარმოჩნდება. ასეთ ადამიანთა რიგს ეკუთვნის ქართული ეთნოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე (სპიკერი) და სრული პროფესორი, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ შამილაძე. მას ახლახან დაბადების 75 და სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.***

# ქართული ეთნოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი

ვახტანგ შამილაძემ 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ.ბათუმის №14 საშუალო სკოლა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1959-1961 წწ. იგი მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, 1961 წელს კი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო (1964წ, ხოლო მოგვიანებით სადოქტორო (1979წ დისერტაციები.

1961 წლიდან ვახტანგ შამილაძე არჩეული იქნა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, სადაც შემდგომ მუშაობდა სწავლულ მდივნად (1969-1977წ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად (1977-1978წ, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში (1981-1984წ. იმავდროულად კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა (1976-1977წ და უნივერსიტეტში (1993-1996წ. 1983 წელს იგი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგედ, სადაც იმუშავა 2006 წლის ოქტომბრამდე. 2004 წლის დეკემბერში იგი აირჩიეს აკადემიის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, სადაც ამჟამად მუშაობს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ და მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, 2006 წლის სექტემბრიდან კი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად და წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარედ.

პროფესორი ვახტანგ შამილაძე წამყვანი სპეციალისტია ეთნოლოგიაში. იგი იკვლევს ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების პრობლემებს, ეთნოსისა და ეროვნული პოლიტიკის ზოგადთეორიულ საკითხებს, ისტორიული ეთნოლოგიის, ეთნოლოგიის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის პრობლემებს. აღნიშნულ საკითხებს მკვლევარმა მიუძღვნა 180 სამეცნიერო ნაშრომი, წერილი და სტატია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რომელთა შორის 10 მონოგრაფიაა.

აღნიშნულ ნაშრომებსა და მონოგრაფიებში დასმულ პრობლემათა გამაერთიანებელი საფუძველია ეთნოლოგიური კვლევის ახალი წყაროების ძიება და ქართველი და კავკასიელი ხალხების ტრადიციული კულტურისა და ყოფის ეთნოსპეციფიკური ნიშნების თავისებურებათა გაშუქება. მეცნიერული კვლევა-ძიების ამ გზაზე ვახტანგ შამილაძემ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, ხელი შეუწყო ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების საუკეთესო ტრადიციების განვითარებასა და საქართველოს ეთნოლოგიის შემდგომ წინსვლას. მის შრომებში წამოყენებულმა და განზოგადებულმა თეორიულმა დებულებებმა საერთო აღიარება ჰპოვეს ეთნოლოგიაში. ამ თვალსაზრისით საკმარისია დავასახელოთ ავტორის კაპიტალური მონოგრაფია „საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (თბ., 1979, 400 გვერდი, რუსულ ენაზე), რომელშიც საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მრავალწლიანი საველე და კამერალური კვლევა-ძიების შედეგად შესწავლილია საქართველოსა და ზოგადად კავკასიის მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემები, დადგენილია მეურნეობის ამ ტრადიციული დარგის კულტურულ-ისტორიული თავისებურებები და გამოვლენილია მისი ადგილი და როლი ქართველი ხალხის ისტორიაში.



პროფესორი ვახტანგ შამილაძე - 75

ავტორის ეს მონოგრაფია, რომელმაც იმთავითვე მიიპყრო ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა ფართო წრის ყურადღება, მიჩნეულია როგორც საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი, კავკასიათმცოდნეობითი მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევა, რომელსაც აქვს გლობალური მნიშვნელობა მსოფლიოს მთიანი რეგიონების პასტორალური კულტურის ურთულესი პრობლემის შემდგომი კვლევებისთვის.

წარმატებული აღმოჩნდა ვახტანგ შამილაძის მონაწილეობა არიდული და ზომიერი ზონის მესაქონლეობის პრობლემების შესახებ ჟურნალ „საბჭოთა ეთნოგრაფიაში“ გამართულ მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა დისკუსიაშიც. კერძოდ, მის მიერ წარმოდგენილი ქართულ-კავკასიური მესაქონლეობის ფორმათა საკლასიფიკაციო სქემა დისკუსიის შემაჯამებელ წერილში აღიარებული იქნა მსოფლიოს სხვა მთიანი ქვეყნების სანიმუშო საკლასიფიკაციო სისტემად.

ვახტანგ შამილაძე წარმატებით აგრძელებს მეცნიერულ მოღვაწეობას. სულ ახლახან მკითხველმა მიიღო მეცნიერის 600-გვერდიანი მონოგრაფიის – „საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია“ – პირველი ტომი, რომელმაც გამოცემისთანავე სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. გამოსაცემად მომზადებულია მეორე ტომი და დაწყებულია მუშაობა სპეციალურ დანართზე, რომელიც ეძღვნება XIX საუკუნიდან დღემდე საქართველოს ეთნოლოგიაში მოღვაწე მეცნიერთა ბიო-ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს.

მრავალფეროვანია პროფესორ ვახტანგ შამილაძის სალექციო კურსების პროგრამა. წლების განმავლობაში იგი კითხულობს ლექციებს ზოგადი, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობითი ბაზის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობების, მეთოდოლოგიის საკითხებზე.

განუზომელია ვახტანგ შამილაძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით დაცულია თსუ-ს ეთნოლოგიის კათედრის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრების (სოხუმი, თბილისი, ახალციხეძ, საზღვარგარეთის (ისრაელი, ბულგარეთი, ჩერქეზეთი, ადიღე, დაღესტანი, აზერბაიჯანიძ მეცნიერ-თანამშრომელთა 20 საკანდიდატო და 10-მდე სადოქტორო დისერტაცია, არაერთი სამაგისტრო ნაშრომი.

დიდია პროფესორ ვახტანგ შამილაძის დამსახურება სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის თვალსაზრისითაც. წლების განმავლობაში იგი იყო და არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარე, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველი და სამეცნიერო საბჭოს წევრი, აშშ-ს კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საზოგადოების წევრი, ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოს წევრი. 2002 წელს იგი გახდა აშშ-ს ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ მსოფლიოს 1000 ცნობილ მეცნიერთა ნომინაციაში გამარჯვებული. შესაბამისად, მისი ბიოგრაფიული მონაცემები შევიდა ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში.

ვახტანგ შამილაძე სისტემატურად ეწეოდა და ეწევა სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით. იგი მრავალჯერ მონაწილეობდა მოსკოვში, თბილისში, სოხუმში, ბაქოში, უფაში, კიშინიოვში, ნალჩიკში, ყაზანში, მახაჩყალასა და სხვა ქალაქებში გამართული სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების მუშაობაში, იყო მოსკოვის, დელის, ჩიკაგოს, ლონდონის, თეირანის საერთაშორისო კონგრესების მონაწილე და მომხსენებელი, მონაწილეობდა ვაშინგტონში, სიეტლში, დენვერში, ახალ ორლეანში, კოლორადოს სპრინგსში, ჰააგაში, მოსკოვში გამართული საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მუშაობაში.

სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული ამ წარმატებებისათვის პროფესორი ვახტანგ შამილაძე 1988 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი მრავალჯერაა დაჯილდოებული მთავრობის ორდენებითა და მედლებით, საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით.

ვახტანგ შამილაძე ერთ-ერთი პირველთაგანია ქართველ ეთნოლოგთა შორის, რომელმაც უშუალოდ გააგრძელა გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, რუსუდან ხარაძის, ალექსი რობაქიძისა და სხვ. ტრადიციები და თავის კოლეგებთან ერთად შემდგომ განავითარა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება – კავკასიათმცოდნეობა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებულ კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიამ მისი ხელმძღვანელობით დიდი ძალა და ენერგია შეალია აღედგინა სსრკ დაშლის შემდეგ წლების განმავლობაში შეწყვეტილი მეცნიერული კონტაქტები კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო წრეებთან. რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარების მიუხედავად განვლილ პერიოდში ვახტანგ შამილაძე არაერთხელ ეწვია ამიერ და ჩრდილო კავკასიის სააკადემიო, საუნივერსიტეტო და სამთავრობო სამეცნიერო ცენტრებს და პირადი კონტაქტები დაამყარა წამყვან მეცნიერებთან და პოლიტიკოსებთან. 1995-2010 წწ. კომისიის უშუალო ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები თბილისში (1998; 2003, 2009, 2010წ, ერევანში (1999, 2003წ, მახაჩყალაში (1999, 2007წ, ბაქოში (2000, 2005წ, ბათუმში (2006წ, შამქორში (2008წ და ა.შ. კომისიის მიერ მიწოდებული იდეითა და მხარდაჭერით ირანის ქალაქებში თავრიზში, ყაზვინში, თეირანსა და ისპაჰანში 2001 წელს ჩატარდა თეირანის უნივერსიტეტისა და დასავლეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კონფერენციები და სიმპოზიუმები, სადაც ცალკე ადგილი დაეთმო ირანულ-კავკასიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემებს.

1988-1990-იანი წლების დასაწყისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში თსუ-ს ეთნოლოგიის კათედრა, რომელსაც ვახტანგ შამილაძე ორ ათეულ წელზე მეტ ხანს უძღვებოდა, არაერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი შეკრებებისა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობის ცენტრი. სწორედ ამიტომ იყო, რომ 9 აპრილის ტრაგედიის ცხელ კვალზე, 1989 წლის 14 მაისს, იგი არჩეული იქნა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ბათუმის ლენინის ტერიტორიული ოლქიდან, 1990 წლიდან იგი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრია, 1991 წელს აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ორგზის იყო არჩეული საქართველოს პარლამენტის დეპუტატად.

საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში იგი იყო თავდაცვის, უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, საგარეო ურთიერთობებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტების წევრი, 1999-2004 წწ. ხელმძღვანელობდა პარლამენტის კავკასიის ქვეყნებთან და ხალხებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტს, მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა საპარლამენტო დელეგაციებს აშშ-ში, ჰოლანდიაში, ირანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამავე პერიოდში იყო საქართველოს პარლამენტის საქართველო-ირანის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საელჩოსთან ირანში და ირანის საელჩოსთან საქართველოში. მათი მეშვეობით მომზადდა და განხორციელდა ორი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის არაერთი პროექტი.

ვახტანგ შამილაძე საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული, მთლიანი, სრულყოფილი პიროვნებაა, მუდამ თანამედროვე ცხოვრების შუაგულშია, მეცნიერების ინტერესებით ცოცხლობს, ახალგაზრდული შემართებით უძღვება სტუდენტი ახალგაზრდობის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების აღზრდისა და დაოსტატების კეთილშობილურ საქმეს.

გულწრფელად ვულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს დაბადების 75 წლისა და სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს და გვჯერა, რომ მომავალი მიუკერძოებლად წარმოაჩენს მის დამსახურებას ქართული მეცნიერების, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება;**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**

**შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**

**ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „WIKILEAKS“-მა სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით აშშ-ს დოსიე გახსნა

**ამერიკელმა დიპლომატებმა ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს წინაპერიოდში იცოდნენ საქართველოს მომავალი თავდასხმის შესახებ სამხრეთ ოსეთზე, მაგრამ მათ არ შეაჩერეს თბილისი**

ეს გამომდინარეობს ამერიკული დიპლომატიური დოსიედან, რომელიც შეეხება მოვლენებს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში და გამოქვეყნებულია ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის“ საიტზე. საიდუმლო დოკუმენტების შენარჩევი წარუდგინა გამომცემლობას სკანდალურად ცნობილმა ინტერნეტ-რესურსმა „WikiLeaks“-მ. თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის უილიამ ტეფტის 7 აგვისტოს გზავნილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ გააფთრებული ბრძოლები სამხრეთ ოსეთში დაიწყო წინა დღით. ელჩი ამტკიცებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან და თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან შეხვედრაზე იგი არწმუნებდა მათ „შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, არ აღელვებულიყვნენ და ცდილიყვნენ ვითარების განმუხტვას“.

თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო იტყობინება აგრეთვე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 11 აგვისტოს აცნობა უცხოელ დიპლომატებს ბრიფინგზე, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დათანხმდა რუსეთის მოთხოვნას, მოაწეროს ხელი შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. საქართველოს ძალები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, უკვე გამოყვანილია კონფლიქტის ზონიდან გორში.

სახელმწიფო დეპარტამენტი იტყობინება აგრეთვე, რომ ევროკავშირის ქვეყნები ერთიანი იყვნენ სიტუაციის შეფასებაში – ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სიმპათიურად მოეკიდა რუსეთის მოქმედებას საქართველოს აგრესიის პასუხად.

„WikiLeaks“ საიტმა დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ათობით ათასი დოკუმენტის გამოქვეყნება, მათ შორის, მიმოწერისა საელჩოებთან. ამერიკის საელჩოს დეპეშების გამოქვეყნება საიტს უმალვე არ გადაუწყვეტია. აქტივისტების აზრით, დოკუმენტების რაოდენობა ძალიან ბევრია და ისინი ააშკარავებენ მნიშვნელოვანი მოვლენების დიდ




ოდენობას ბევრ ქვეყანაში, ამიტომ არქივი გაიხსნება „ტალღებად“, დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში.

პუბლიკაციები გამოქვეყნდება მსოფლიოს წამყვან გამომცემლობებთან შეთანხმებით. „WikiLeaks“-ს ძირითადი პარტნიორი რუსეთში არის ჟურნალი „რუსკი რეპორტიორი“.

ჟურნალმა უკვე გამოაქვეყნა მასალები, სადაც საუბარია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2012 წლის არჩევნების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესის შესახებ რუსეთ-იტალიურ ურთიერთობებისადმი, მოსკოვის ურთიერთობის შესახებ მინსკთან და ასტანასთან, მასალები გამოკვლევის ფედერალური გამოკვლევის ხელმძღვანელის რობერტ მელერის ვიზიტის შესახებ რუსეთის ფედერაციაში და მასალები, რომლებიც შეეხება კონფლიქტს სამხრეთ ოსეთში.

„WikiLeaks“-ს ხელმძღვანელი და დამფუძნებელი ჯულიან ასანჟი საერთაშორისო ძიებაში იმყოფება, მისი დაპატიმრების შესახებ ორდენი გაცემულია სტოკჰოლმის სასამართლოს მიერ. ის გამოძიებას დაემალა ჩრდილოეთ ევროპაში. მის გვერდით ამჟამად იმყოფება ჟურნალისტი ისრაელ შამირი, მისი წყალობით, „რუსკი რეპორტიორი“ ღებულობს წინასწარ მასალებს მანამ, სანამ ისინი ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებრიობისთვის. „რუსკი რეპორტიორი“ აღნიშნულ მასალებს ეცნობა პარასკევიდან. უპირატესად ეს არის დოკუმენტები, რომლებიც შეეხება რუსეთს, უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას, აღნიშნულია ჟურნალის საიტზე.

უფრო ადრე, ორშაბათს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი იხელმძღვანელებს არა „გადინებული“ მასალებით, არამედ თავისი პარტნიორების კონკრეტული საქმეებით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კვირას „WikiLeaks“-მა თავის საიტზე განათავსა და გადასცა დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო მასალების დიდი ოდენობა, რომლებშიც არის ინფორმაცია ამერიკელი დიპლომატების კერძო საუბრების შესახებ უცხოეთის მთავრობებთან და ზოგიერთი დასავლელი ლიდერის დახასიათებანი.

უფრო ადრე, ორშაბათს წყარომ დიპლომატიურ წრეებში განაცხადა, რომ ამერიკის დიპლომატიური მიმოწერის პუბლიკაციებმა „WikiLeaks“-ის პორტალზე მოსკოვი არ გააკვირვა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# რატომ გამოდის თბილისი სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ?

**ქართველი კანონმდებლები დარწმუნებული არიან, რომ მათ აქვთ საკმაო არგუმენტები, რათა დაადასტურონ – რუსეთს არ აქვს მორალური უფლება მიიღოს ოლიმპიადა, მოსამზადებელი სამუშაოები კი ღონისძიებისთვის შეიძლება გახდეს საბაბი ეკოლოგიური კატასტროფისთვის**

თუ სოჭში გაიმართება ოლიმპიადა, იგი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა შესაბამისადაც ტარდება თამაშები, – ამბობს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხების დროებითი კომისიის ხელმძღვანელი შოთა მალაშხია. – ჯერ ერთი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მანამდე უნდა დაიწყოს დეოკუპაცია და დაცული იყოს ყველა საერთაშორისო წესი. თუ ეს არ მოხდება – მაშინ უნდა ვისაუბროთ ოლიმპიადის გადატანაზე“.

როგორც შოთა მალაშხია აღნიშნავს, მომავალ მოქმედებათა სქემის დამუშავებაში ჩართულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, იმისთვის კი, რომ პროტესტს ყური დაუგდონ, თბილისი იმუშავებს სხვადასხვა დონეზე – არასამთავრობო ორგანიზაციებიდან სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებამდე და მთავრობამდე.

„ამჟამად ვითარება მსოფლიო დონეზე შეიცვალა... ყველა საუბრობს იმის შესახებ, რომ ეს ტერიტორიები (აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთიძ ოკუპირებულია“, – განაცხადა მალაშხიამ ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

მაგრამ რუსი დეპუტატები დარწმუნებული არიან, რომ მცდელობანი – ხელი შეუშალონ სოჭის ოლიმპიადას, განწირულია ჩავარდნისთვის. „სოჭის ოლიმპიადის ჩაშლა არავის შეუძლია, ვინაიდან მისი გამართვა – ეს საერთაშორისო გაერთიანების ნებაა, ეს არის შეგნებული არჩევანი, რომელიც გაკეთდა ყველა არსებული ვითარების გათვალისწინებით და იგი არ ექვემდებარება არანაირ კონიუნქტურულ გადაფასებას“, – მოჰყავს რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის კონსტანტინ კოსაჩოვის სიტყვები.

მისი სიტყვებით, საქართველოს მხრიდან ეს არის მხოლოდ მცდელობა მიიქციოს საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით.

ზოგიერთ ქართველ ექსპერტს ეჭვი ეპარება, რომ დეპუტატების გეგმას შედეგი მოჰყვება, თანაც ბევრი მათგანი ინიციატივას, სულ ცოტა, არასერიოზულს უწოდებს.

საქართველოს ოლიმპიურ კომიტე-



ტი კომენტარებისგან თავს იკავებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადების საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება.

ზამთრის თამაშების გამართვა უშუალოდ აფხაზეთის მახლობლად, რომლის ტერიტორიასაც საქართველო ოკუპირებულად მიიჩნევს, მტკივნეულ რეაქციას იწვევს თბილისში.

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, აფხაზეთიდან გააქვთ დიდი მოცულობის ინერტული მასალები, როგორიც არის ქვიშა, ხრეში, სილა, ოლიმპიური მშენებლობისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფა.

„ხდება ინერტული მასალების ველური მოპოვება და ტყეების მასობრივი გაჩეხვა, რაც გააქვთ მოსამზადებელი სამუშაოებისთვის სოჭში“, – განაცხადა ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურთან ინტერვიუში დევნილობაში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის აპარატის ხელმძღვანელმა ბესიკ სილაგაძემ. მისი სიტყვებით, ხრეშისა და ქვიშის მოპოვება ორ ადგილზე მიმდინარეობს, რომლებიც ახლოს არიან ზღვასთან, რის გამოც ხდება სანაპირო ხაზის ჩამოშლა.

ხელისუფლება, რომელიც დე ფაქტო აკონტროლებს აფხაზეთის ტერიტორიას, არ მიიჩნევს, რომ სოჭში ოლიმპიადის გამართვა რაიმე საფრთხეს მიაყენებს რეგიონის ეკოლოგიას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ ბი-ბი-სის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ საქართველოს მხარე მოუწოდებს გაიმართოს საერთაშორისო მონიტორინგი აფხაზეთში. თბილისმა უკვე მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ეკოლოგიის სფეროში, აგრეთვე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შესაბამისი მოწოდებით, ამბობს ხაჩიძე.

ამ დროს სოხუმი არ უარყოფს ინერტული მასალების გატანას, თუმცა, როგორც „ნეზავისიმაია გაზეტას“ უთხრა აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ, ექსპორტი არ ხორციელდება ბუნების საზიანოდ.

ჩრდილოეთი კავკასიის ექსპერტის ვალერი ძუცევის სიტყვებით, ოლიმპიადა საფრთხეს იწვევს არა მხოლოდ ეკოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ეს, უწინარეს ყოვლისა, ამბობს იგი, დაკავშირებულია ჩერქეზი დიასპორისა და ორგანიზაციების მოთხოვნასთან, აღიარონ ჩეჩენი ხალხის გენოციდი რუსეთის მიერ.

იმ დროს, როდესაც ბევრი საქართველოში მიიჩნევს პრიორიტეტად მჭიდრო კონტაქტების მოწესრიგებას ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან, ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო „ცეცხლს ეთამაშება“.

ექსპერტ გია ხუხაშვილის სიტყვებით, მოსკოვი დღეს არ არის დაინტერესებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებით, ზოგიერთი ქართველი „დეპუტატი-ავანტიურისტი“ კი, ფაქტობრივად, რუსეთის ხელისუფლებას აძლევს საბაბს ახალი აგრესიული ნაბიჯების გადადგმისთვის საქართველოსთან დაკავშირებით.

„ეს გვაგონებს გარკვეულ პროვოკაციას – არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ, – ამბობს ხუხაშვილი. – ასეთი მოქმედებანი არაერთხელ დაბრუნებია ბუმერანგივით საქართველოს“.

საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ როგორი სამართლიანიც უნდა იყოს პროტესტი სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ, საქართველომ უფრო მეტად პრაგმატული პოლიტიკა უნდა განახორციელოს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დავით აფრასიძე ამბობს, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ჩრდილოეთ კავკასიაში ბევრ რამეში შეიძლება დაემთხვეს კიდეც ერთმანეთს.

„საქართველოს შესანიშნავად ესმის, რომ ჩრდილოეთი კავკასიის „აფეთქება“ არაფერ კეთილს არ უქადის საქართველოს. საქართველოს ინტერესი ჩრდილოეთ კავკასიაში – ეს არის სტაბილურობა და კონტაქტები“, – ამბობს აფრასიძე.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**„WIKILEAKS“-მა ნათელი მოჰფინა გადატვირთვას: აშშ კვლავ არ ენდობა რუსეთის ხელმძღვანელობას**

დოკუმენტები მოწმობენ იმის შესახებ, რომ მაშინაც კი, როდესაც მოსკოვი მზად იყო შეთანხმებულიყო ვაშინგტონთან მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე სანქციების შემოღების შესახებ ირანის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას კვლავ რჩებოდა ღრმა უკმაყოფილება რუსეთის ხელმძღვანელობისადმი. „რუსული დემოკრატია დაიკარგა, მთავრობა კი წარმოადგენს ოლიგარქიას სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით“, – მიაჩნიათ ვაშინგტონში.

**ჰაიტიში ქოლერის ეპიდემიისგან 1721 კაცი დაიღუპა, კიდევ 33 ათასი დასნებოვნებულია**



მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია გვაფრთხილებს, რომ ქოლერით დაავადებულთა რიცხვი 400 ათასამდე გაიზრდება. ქვეყანაში არ არის სახსრები დაავადებასთან ბრძოლისთვის. მსოფლიო გაერთიანების მიერ დაპირებული 164 მილიონი დოლარის დახმარებიდან კი მიღებულია მხოლოდ 19,4 მილიონი დოლარი.

**ძლიერი აფეთქება ყირგიზეთის სპორტის სასახლეში, ბიშკეკის ცენტრში: დაზარალებულია 4 კაცი**



სპორტის სასახლეში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი აპრილის მასობრივი მღელვარების მონაწილეთა დახვრეტის საქმეზე. აფეთქება მოხდა სასამართლო პროცესის დაწყებამდე დაახლოებით საათნახევრის წინ. დაზარალებულები იდგნენ სპორტის სასახლის გარშემო შეკრულ ჯაჭვში.

**აშშ-ში შეიარაღებულმა მოზარდმა, რომელმაც მძევლად აიყვანა მოსწავლეები, ყველა გაუშვა, შემდეგ კი თავი მოიკლა**

ახალგაზრდა კაცი იარაღით ხელში შეიჭრა ქალაქ მარინეტის საშუალო სკოლის ერთ-ერთ კლასში. მასში 23 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი იყვნენ. მან ჯერ ხუთი მძევალი გაუშვა, შემდეგ კი ყველა დანარჩენი.



**ჩვენი კარაბადინი**

# გრიპი რომ არ ავიკიდოთ

**ხშირად ნუ იქნებით ხალხში, დაიბანეთ ხელი და მეტი ისეირნეთ**

**როგორ დავუპირისპირდეთ სეზონურ ეპიდემიას? ამის შესახებ შევეკითხეთ რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გრიპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებს.**



### რა დაგვიცავს?

**ამერიკელი მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ზამთრის პერიოდში ჯანმრთელობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია — ვიტამინი D, მას შეუძლია დაგვიცვას გრიპისგან. ამიტომ მეტი უნდა მიირთვათ რძის პროდუქტები და თევზი, რომლებშიც არის ეს ვიტამინი.** „ეს მთლად სწორი არაა, — მიაჩნია გრიპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელ იგორ ნიკონოროვს. — ინფექციებს რომ დაუპირისპირდეს, ორგანიზმს სჭირდება სრულფასოვანი კვება იმ პროდუქტებით, რომლებიც მდიდარია ცილებითა და ვიტამინებით. თანაც იმუნური სისტემის ნორმალური მუშაობისთვის საჭიროა კომპლექსი ვიტამინებისა — A, B, E, C.

### სად გველის ვირუსი?

**„თავისთავად, ცივ ჰაერზე ყოფნა გრიპით დაავადებაზე გავლენას არ ახდენს, — გვიხსნის ი.ნიკონოროვი.** — ავადდებიან ჩვეულებრივად არა ქუჩაში, არამედ დახურულ შენობაში და ტრანსპორტში, ესე იგი ხალხის დიდი ოდენობით თავშეყრის ადგილებში საჰაერო-წვეთოვანი (ჩავისუნთქავთ ვირუსს ჰაერიდანძ, უფრო იშვიათად — კონტაქტების გზით (ვიღაცას დააცემინა ავტობუსში, ვირუსი მოხვდა სახელურზე, კაცმა მას ხელი მოკიდა, შემდეგ კი სახეზე მოისვა და სენი შეიყვანა პირში ან თვალშიძ“.

ამიტომ, როდესაც სახლში მიხვალთ სამსახურიდან ანდა საყვარელი საზოგადოებრივი ადგილიდან, სასურველია დაიბანოთ ხელი და სახე საპნით და პირის ღრუში გამოივლოთ ჩვეულებრივი ან მინერალური წყალი — თბილი ან ოთახის ტემპერატურისა.

### იქნება თხისა?

**ქათმის გრიპი არსებობს. ღორისაც. ამ ცოტა ხნის წინათ კი დაიწყეს ლაპარაკი, რომ ჰოლანდიაში უკვე გამოჩნდა თხის გრიპი. თითქოს შარშან მისგან რამდენიმე კაცი დაიღუპაო.** თუმცა გაირკვა, რომ თხის გრიპად შეცდომით მიიჩნიეს კუ-ციება, ბაქტერიული ინფექცია (გრიპს კი იწვევს ვირუსიძ, რომელიც აზიანებს ცხვრებსა და თხებს და ზოგჯერ შეიძლება ცხოველებიდან ადამიანსაც გადაედოს. დღეისთვის კი სულ ნაცნობია გრიპის სამი ვირუსი — A, B და C. გრიპ B-ს ვირუსი აზიანებს მხოლოდ ადამიანს, C-ს ტიპი — ხალხსა და ღორებს, A კი — ხალხს, ფრინველს, გარეულ და შინაურ ცხოველებს. A ტიპის ვირუსების მთავარი წყარო წყლის ფრინველები არიან.

### რატომ ვხდებით ავად?

**გრიპის ეპიდემიებისა და პანდემიის ძირითადი მიზეზი — გრიპის ვირუსის მაღალი ცვალებადობაა. მაგალითად, მარტო A ტიპის ვირუსის 50-ზე მეტი ქვეტიპია ცნობილი.** ვირუსები ცდილობენ გამოძვრნენ წამლებისა და იმუნიტეტის შეტევიდან, მუდმივად იცვლიან თვისებებს — საკუთარ გენში ან გენომის „ამხანაგებთან“ მუტაციის წყალობით. აი რატომ არის, რომ ბევრი ჩვენგანი ავადდება ყოველ წელს. ამავე მიზეზით ყოველი ახალი სეზონი ითხოვს ახალ ვაქცინას. ამჟამად ევროპის მეცნიერები ერთობლივად მუშაობენ უნივერსალური ვაქცინის შექმნაზე ინოვაციური უჯრედოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით.

**რამდენ ხანს ცოცხლობს ვირუსი?**
**შენობის ჰაერში — 2-9 საათი**
**ქაღალდზე, მუყაოზე, ქსოვილებზე — 8-12 საათი**
**ხელის კანზე — 8-15 საათი**
**ლითონის საგნებზე და პლასტმასაზე — 24-48 საათი**
**მინის ზედაპირზე — 10 დღემდე.**

### შეიძლება განმეორებით დაავადება?

**გრიპის პირველი ტალღის შემდეგ ჩვეულებრივად ხდება მეორე, უფრო რთული. იგი მოიცავს მათ, ვისაც ჯერ არ გადაუტანია გრიპი.** ამასთან განმეორებით ავადდებიან ბავშვები 3 წლამდე და მოზრდილების 10 პროცენტამდე. სხვათა შორის, პატარები, რომლებიც პირველად დაავადნენ გრიპით და არ გააჩნიათ მისადმი არანაირი იმუნიტეტი, ავადმყოფობენ განსაკუთრებით მძიმედ.

### რითი ვიმკურნალოთ?

**„ყველა წამალი, რომელსაც გრიპის სამკურნალოდ ღებულობენ, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად, — ამბობს გრიპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი ლუდმილა ოსიდაკი, — პირველი ებრძვის თავად ვირუსს, მოქმედებს უშუალოდ მის შემადგენელ ნაწილებზე და ასე ამუხრუჭებს ორგანიზმში დაავადებათა გამომწვევების მემკვიდრეობის ფორმირებას. ესენია რემანტადინი, ორვირემი (ყოფილი ალგირემიძ, არბიდოლი, ახალი პრეპარატი ინგავირინი. აგრეთვე — ოსელტამივირი, ზანამივირი, პერამივირი.** პრეპარატების მეორე ჯგუფი — ეს არის ინტერფერონები და მათი ინდიკატორები (ნივთიერებანი, რომლებიც ორგანიზმში სტიმულს აძლევენ საკუთარი ინტერფერონის გამომუშავებასძ, ინგარონი, გრიპფერონი, ციკლოფერონი, ანაფერონი, დერინატი, ინფლუციდი, იზოპრინოზინი, ამიქსინი. ისინი ახდენენ ადამიანის იმუნიტეტის მობილიზებას ვირუსთან ბრძოლისთვის. უნდა გვახსოვდეს: ყველა ვირუსსაწინააღმდეგო პრეპარატი ეფექტიანია მხოლოდ დაავადების პირველ დღეებში მიღებით. გრიპის მსუბუქი ფორმის დროს არ არის აუცილებელი ძვირი წამლების შეძენა, საკმარისია ცხვირში ინტერფერონის წვეთების ჩაწვეთება. მძიმე ან საშუალო სიმძიმის ფორმის დროს (მაღალი ტემპერატურა, კრუნჩხვები, სისხლდენაძ აუცილებლად გამოიძახეთ ექიმი. ოჯახის აფთიაქში ნუ იქონიებთ ოქსოლინის საცხს. უფრო თანამედროვე პრეპარატია — ვიფერონგელი, ის შეიძლება წაისვა ცხვირზე და პროფილაქტიკისთვის, და დაავადების პირველი ნიშნების დროს“.

* * *

**გრიპი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საშიში მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციაა (მრვიძ:** უფრო მძიმედ ავადდებიან ბავშვები და მოხუცები.

**დაწყება:** მეტად მწვავეა (მოულოდნელიაძ. დაავადების ტემპერატურა და მიმდინარეობა: მაღალი, 39-40 გრადუსი ცელსიუსით და გრძელდება 3-5 დღე. ტიპურია გართულებები ფილტვებსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

**სპეციფიკური სიმპტომები:** მძიმე ინტოქსიკაცია, გონების დაბინდვამდე, ტიპურია ტკივილი და მტვრევა მთელ სხეულში, ძლიერი თავის ტკივილი, თვალების ბრჭყვიალი. ხველება, სურდო, ყელის ტკივილი ზომიერია და გრძელდება 2-3 დღე.

რინოვირუსული ინფექცია უფრო ხშირად არის შემოდგომით და გაზაფხულზე. იწვევს ყველა მრვი-ს 20-25 პროცენტს. ბავშვებში ხშირად იწვევს ბრონქიტს და პნევმონიას.

**დაწყება:** მწვავეა, მაგრამ არც ისე, როგორც გრიპის დროს. დაავადების ტემპერატურა და მიმდინარეობა: მოზრდილები ხშირად ავადდებიან საკმაოდ ადვილად: მაღალი ტემპერატურისა და ინტოქსიკაციის გარეშე.

**სპეციფიკური სიმპტომები:** ტიპურია სურდო — ჯერ ცხვირი იჭედება, შემდეგ უხვი გამოდინება. ხშირად არის ტკივილი და ყელის წვა, მშრალი ხველა.

* * *

ადენოვირუსული ინფექცია — ყველა მრვი-ის 5 პროცენტი. ხშირად ავადდებიან ბავშვები, განსაკუთრებით 5 წლამდე, მოზრდილები — იშვიათად: იმუნიტეტი ბავშვობის დაავადების შემდეგ. **დაწყება:** უფრო ხშირად — თანდათანობით. დაავადების ტემპერატურა და მიმდინარეობა: ხშირად 38-39 გრადუსზე ზევით. დაავადება ვითარდება ნელა და ხშირად დიდხანს გრძელდება. **სპეციფიკური სიმპტომები:** ტკივილი ყელში ნუშისებრი ჯირკვლისა და ყელის ანთების გამო, სურდო, კონიუნქტივიტი — თვალი გეწვის და ცრემლიანდება. ზოგჯერ არის კუჭის აშლილობა. გაზრდილია ლიმფოკვანძები კისერზე.

**პარაგრიპი** — ყველაზე ხშირი მრვი: ყოველი მეხუთე გაცივება დიდებში და ყოველი მესამე — ბავშვებში. ბავშვები უფრო ხშირად ავადდებიან. **დაწყება:** თანდათანობითი. დაავადების ტემპერატურა და მიმდინარეობა: დაბალი (38 გრადუსამდეძ და ხანმოკლე. ინტოქსიკაცია სუსტია ან არ არის საერთოდ. **სპეციფიკური სიმპტომები:** ხრინწიანი ხმა, გიჭირს ლაპარაკი (ხორხის ხმის იოგების ანთების გამოძ, მშრალი, მყეფარე ხველება.

**რესპირატორულ-სინტიციალური ინფექცია** — ყველა მრვი-ის 15 პროცენტი. ბავშვები უფრო ადვილად ავადდებიან, ავადმყოფობენ დიდებზე მძიმედ. მამაკაცები ქალებზე ორჯერ უფრო ხშირად ავადდებიან. **დაწყება:** თანდათანობითი. დაავადების ტემპერატურა და მიმდინარეობა: 38 გრადუსამდე, მაგრამ შეიძლება გრძელდებოდეს დიდხანს. ინტოქსიკაცია ზომიერია. **სპეციფიკური სიმპტომები:** ხველების ტიპური შეტევები. ინფექცია ხშირად ეშვება დაბლა, იწვევს ბრონქიტს ან ფილტვების ანთებას. მოზრდილებში ჩვეულებრივად მიმდინარეობს მსუბუქად და გაურთულებლად. ზომიერი ინტოქსიკაცია: მდგომარეობა დუნეა, თავის ტკივილი ძლიერი არაა.

**სხვათა შორის**
**არის ეჭვი, რომ ადენოვირუსი იწვევს სიმსუქნეს. ამერიკელმა მეცნიერებმა თავდაპირველად დაადგინეს, რომ ფრინველები და თაგვები, რომლებიც დაავადებული იყვნენ ადენოვირუსის ერთ-ერთი სახეობით, გაცილებით უფრო სწრაფად იმატებენ წონაში, ნორმალური დიეტის დროსაც კი. როგორც ეტყობა, ეს ვირუსი ხელს უშლის ენერგიის ხარჯვას, ცხიმების წვას. ადამიანებზე შემოწმება ადასტურებს ამ ჰიპოთეზას. მსუქანი ადამიანების 20-30 პროცენტს აღმოაჩნდათ ადენოვირუსი, გამხდრებში კი ის აღმოაჩნდა მხოლოდ ერთს 20 კაციდან.**

**მრვი-ს მოკლე დიაგნოზი ნაცნობია თითქმის ყველასთვის. ბევრმა ისიც კი იცის, რომ ეს 4 ასო იშიფრება როგორც „მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექცია“. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სასუნთქი ორგანოების დაზიანება ვირუსებით, კიდევ უფრო მარტივად კი — გაციება.**

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ეს გამომწვევი აზიანებს ორგანიზმს თავისებურად, სიმპტომები ხშირად მსგავსია — სურდო, ტკივილი ყელში, ხველება, ტემპერატურა. თუმცა სხვაობა მაინც არსებობს და ისინი უნდა ვიცოდეთ (იხ. ნახატებიძ.

ყველა მრვი-ს მკურნალობენ თითქმის ერთნაირად — თავიდან იშორებენ სიმპტომებს: ხსნიან ტემპერატურას, ამსუბუქებენ ტკივილს ყელში და ხველებას, „ასუფთავებენ“ გაჭედილ ცხვირს. გრიპის დროს აუცილებელია აგრეთვე სპეციფიკური ვირუსსაწინააღმდეგო პრეპარატების მიღება.

**მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია**

## ქეთევან გაბუნია

### ო, რა ტკბილი ხარ სამშობლოვ!

ვეძიე ვერსად ვერ ვპოვე
სხვა კუთხე ზღაპრად ქცეული,
ან რად ვეძებდი? აქ უფლის
კვართია დავანებული.

აქ ხომ ილია, აკაკი
ვაჟა და გალაკტიონი
მთაწმინდის მთვარეს უმღერენ,
ზარს რეკენ ქვაშვეთ-სიონი.

აქ ხომ ჯვარია ვაზისა
ნინოს თმებითა ხვეული,
წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის
აჩრდილი დადის ეული.

ჰო, მართლა რომელ სამშობლოს
სისხლით ულებავს წყლებია,
ასი ათასი მოწამის
არ გესმის?, მათი ხმებია!

ან რას ჩურჩულებს, გაჰხედე,
ეს ხომ კრწანისის ველია,
ისევ არ გესმის? ფიცს სდებენ
სამასნი არაგველნია.

თუ გახსოვს, ვისი სახელი
გერგო, ჰო წმინდა ქალია,
სიკვდილს დასჯერდა რწმენისთვის
ქეთევან დედოფალია.

ან რომელ ერს ჰყავს, მითხარი
ჩვენსავით საჭეთმპყრობელი,
ასე უყვარდეს მთელს ერსა
ჩვენი სულთ მანათობელი!

ნუთუ, არ კმარა ქართველნო,
რაღას მირბიხართ, შეჩერდით!
ვის დაუტოვეთ სამშობლო,
ცრემლი სდის, გიხმობთ ფეთებით!

აღარ მეშინის სიკვდილის,
ვიცი შენ მიგებარები,
ვაი რომ ბევრს უნატრიხარ
შენს მიწით დავიფარები.

ამის თქმა მსურდა, შენდობას
ვითხოვ აპყრობილ ხელებით,
აღარ დაგტოვებ არასდროს,
მიიღე ჩემი ცრემლები!

— — — — — — — — — —

## ომარ ქეშელაშვილი

### არა, არა!

მოდი გოგოვ, ახლოს მოდი,
დამენახე სახით, ჩქარა,
დამანახე ეგ ნაკვთები...
რა მითხარი? არა, არა!
    მოდი გოგოვ, ჩამახედე
    ლამაზ თვალებს და სხვას არა,
    რომ მეც დავტკბე მაგ თვალებით...
    რაო-რაო? არა, არა!
გამიღიმე ოდნავ მაინც,
სულაც ოდნავ, ასეც კმარა,
რომ მეც გული დავიმშვიდო...
ეს რა მესმის? არა, არა!
    მაშინ ნაზი ხმა გამეცი,
    მე ვინატრო აბა სხვა რა,
    ხმა ფერმკრთალი, როგორც
                    შენ ხარ...
    თანახმა ხარ? არა, არა!
აბა უნდა მოგიტაცო,
მე არ დამრჩა სხვა გზა, არა.
აღარ გისმენ შენ რას იტყვი...
თანახმა ვარ, აბა არა?

### ქვათახევი

რა ლამაზია წაბლოვან ტყეში
ზედ აღმართული ეს წმინდა სვეტი,
ნაპერწკლებს ისვრის კაშკაშა მზეში
მადლი რომ მოსცხოს უხვი და მეტი.
    საუკუნეთა მიღმიდან ჰკივის
    საგალობლო ხმა სვეტ ქვათახევის
    და უსასრულოდ კვლავ ასე ივლის
    მისით წესრიგი, ამ ქვაბთა-ხევის.
ცად აზიდულა, ლაჟვარდ ზეცისკენ,
მისი გუმბათიც ატყორცნილია,
ის სხივებს აფრქვევს მის ჯვრის
                    წვერისკენ
ვინც მას შეხედავს დალოცვილია.
    ამ სვეტის ქვებში ჩაქარგულია
    ზნე და დიდება ჯიშის ქართულის,
    მის ჩუქურთმებში განკარგულია
    ღვთიური ძალა, ზედ
                    თანდართულის.
რა სასწაული ხატი გვქონია,
ნეტავი როგორ ააგეს იგი,
მას რომ ვუყურებ ასე მგონია
სხეულში მივლის უფლის ხმა მშვიდი.
    ქვათახევიდან ისმის სიმღერა,
    ჩვენს წინაპართა ლოცვის სიტყვები,
    მე ვიცი იგი ვინაც იმღერა
    და ბედისწერას მათ გზით მივყვები.

◎ ჭიდაობა



# მეორე ადგილს დასჯერდნენ

**მინსკში სახელოვანი ფალავნის ოლეგ კარავაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ბელარუსის დედაქალაქში 9 გუნდმა მოიყარა თავი.**
მთავარი პრიზისთვის ქართველი „კლასიკოსებიც" (ლაშა გოგიტაძე, რევაზ ლაშხი, ანტონ მამაგეიშვილი, გენადი გოგიშვილი, ვლადიმერ გეგეშიძე, მიხელ ქაჯაია, გურამ ფერსელიძე) იბრძოდნენ. ჩვენებმა ქვეჯგუფში რუსებს სძლიეს 4:3, მერე აშშ-ს (6:1), უკრაინას (5:2) და ბელარუსის მე-2 ნაკრებს (7:0), გადამწყვეტ პაექრობაში კი მასპინძელთა პირველ გუნდთან დათმეს ორთაბრძოლა 3:4 და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

**ლაშა დიდია**

◎ ჭადრაკი

# გია გიორგაძე — ისევ საჭესთან



**ბოლო სამი წლის განმავლობაში ქართველმა მოჭადრაკეებმა საერთაშორისო სარბიელზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ქალთა ნაკრებმა 2008 წელს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა, წლეულს კი ბრინჯაო ხვდა, შარშან ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. ნანა ძაგნიძემ ფიდეს ქალთა გრანპრის გათამაშების სამ ეტაპზე 390 ქულა მოაგროვა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე იმყოფება. გაისად ჩილეში ბოლო რაუნდში მეორე ადგილიც ჰყოფნის გასამარჯვებლად. დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ შარშან და წლეულს საკუთარი მონაგარი ევროპის ჩემპიონატების „ბრინჯაოთი" და „ვერცხლით" გაიმდიდრა.**

წლევანდელი სეზონი ჩვენი მოჭადრაკეებისთვის ჯერ არ დამთავრებულა — მანდილოსნები 3 დეკემბრიდან თურქეთში ინდივიდუალურ მსოფლიო ჩემპიონატში ჩაებმებიან. მედლებისთვის მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი და სოფიო ხუხაშვილი იბრძოლებენ. ყოველივე ამის შესახებ ითქვა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე, სადაც ახალი ოთხწლიანი ვადით ამ ორგანიზაციის თავკაცად დიდოსტატი გია გიორგაძე, ვიცე-პრეზიდენტად ზურაბ მიქაძე, ხოლო გენერალურ მდივნად აკაკი იაშვილი აირჩიეს.

ყრილობაზე სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკეს. კერძოდ, 2011 წლის ეროვნული ჩემპიონატი ქალებში 9 იანვარს აიღებს სტარტს. სწორედ აქედან დაიწყება ნაკრების კანდიდატთა შერჩევა ევროპისა და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატებისთვის, რომლებიც ნოემბერ-დეკემბერში გაიმართება. ჩამოყალიბდება კლუბებიც და ეროვნული ჩემპიონატიც მოეწყობა, რაც ქართული ჭადრაკის პოპულარიზაციას და სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

**სალომე ხატიაშვილი**

◎ მკლავჭიდი

# ფედერაციას გურჩიანი უთავკაცებს



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში მკლავჭიდის ფედერაციის საარჩევნო ყრილობაზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად ოთხწლიანი ვადით ერეკლე გურჩიანი აირჩიეს, რომელიც აქამდე გენერალურ მდივნად მუშაობდა.** გურჩიანს 51-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი — ახალმა თავკაცმა ყრილობის მონაწილეებს 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმა წარუდგინა. იგი მკლავჭიდის გეოგრაფიის გაფართოებას, ახალი ცენტრებისა და სექციების გახსნას ითვალისწინებს. განსაკუთრებული ყურადღება მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში, ასევე, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას დაეთმობა.

◎ უნივერსიადა

# იქნებ, ამ გაერთიანებამ უშველოს

**2015 წლის უნივერსიადაზე, რომელსაც სამხრეთ კორეის ქალაქმა კანჯუმ უნდა უმასპინძლოს, შესაძლოა, ორივე კორეის ახალგაზრდობა ერთ გუნდად გამოვიდეს.**

**სწორედ ამ გაერთიანების შესაძლებლობაზე გვიამბობს თამაშების გენერალური მდივანი კიმ იუნ-სუკი:**



„ჩვენ ვგეგმავთ ჩრდილო და სამხრეთ კორეის გაერთიანებულ გუნდად გამოსვლას უნივერსიადაზე. ეს უნიკალური შემთხვევაა უნვერსიადების ისტორიაში. ვფიქრობ, თამაშები გადაიქცევა კორეელი ხალხის ახალგაზრდა წარმომადგენელთა შორის მშვიდობიანი დამოკიდებულების და ურთიერთგაგების განმტკიცების იდეალურ საშუალებად".

ბატონმა კიმმა ისიც აღნიშნა, რომ იმედი აქვს, სპორტში ორი კორეის გაერთიანება დაეხმარება თავის ქვეყნებს ახლანდელი პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში.

◎ თაობა

# ლიგამუსელთა უპირატესობით

**გასულ უქმეებზე დაბა ჩაქვში „ოაზისის" საცურაო აუზში ახალგაზრდა წყალბურთელთა ტურნირი გაიმართა, რომელიც ღვაწლმოსილი მწვრთნელების — ვლადიმერ მამჩინისა და გიორგი კალანდაძის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებაში 9 გუნდი მონაწილეობდა.**



1997-1998 წლებში დაბადებულთა შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტკლუბ „ლიგამუსის" წყალბურთელებმა (ჯემალ ზამბახიძე, აკაკი კეჟარაშვილი, ირაკლი რაზმაძე, ილია გიგაური, გოჩა ვადაჭკორია, გუგა ბერიშვილი, ლაშა ბერიშვილი, ნიკოლოზ კორძაია, გიორგი ჭედია, რევაზ იმნაიშვილი, ალექსი ფირცხალავა, მამუკა თუხარელი, ილია დუმბაძე, ვიქტორ გვიმრაძე, მწვრთნელი სო მაისურაძე) ზედიზედ სძლიეს „ტონუსს" (11:3), „დელფინს" (10:7), ბათუმის სპორტსკოლის გუნდს (11:5) და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე-მესამე ადგილები „ბათუმსა" და „ტონუსს" ხვდათ.



უფროს ასაკშიც (1995-1996 წლებში დაბადებულნი) ლიგამუსელებმა აჯობეს ყველას. ამ კლუბის მეორე გუნდმა (ზურაბ ალანია, მამუკა დავლიანიძე, ვახტანგ კუცია, ლუკა გელაძე, ზურაბ კვირკველია, ლევან მოსაშვილი, ერეკლე წამალაშვილი, გიორგი ჩახნაშვილი, დიმიტრი ვაჩაძე, მიხეილ კიტბაბიკოვი, გიორგი ტოტოღაშვილი, გიორგი ედილაშვილი, მიხეილ მებაღიშვილი, ლაშა კოჩიაშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, თორნიკე შენგელია, მწვრთნელი ნოდარ ჩხარტიშვილი) ოთხ გუნდს მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე „ლიგამუსი-1", მესამეზე კი „ბათუმი" გავიდა.

**შალვა დევნოზაშვილი,**
**ავტორის ფოტო.**

◎ წყალბურთი

# გაზაფხულამდე არდადეგებია



**წლეულს 30 ოქტომბერს აიღო სტარტი ევროპის წყალბურთელ ვაჟთა 2012 წლის ჩემპიონატმა. ექვს საკვალიფიკაციო ჯგუფში 17 გუნდი იბრძვის მეორე ეტაპის საგზურებისთვის. ქართველი წყალბურთელები E ჯგუფში უწევენ მეტოქეობას დიდ ბრიტანელებსა და ბერძნებს. პირველ მატჩში ჩვენებმა შინ ინგლისელებს 9:3 აჯობეს.** მართალია, კუნძულელები 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან და არაფერს ზოგავენ, სპორტის ამ ზეიმს ყველა სახეობაში, მათ შორის წყალბურთშიც, კონკურენტუნარიანი სპორტსმენებითა და გუნდებით შეხვდნენ, მაგრამ, ეტყობა, წყალბურთში არაფერი გამოსდით. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბრიტანელები შინაც დამარცხდნენ ელინელებთან, თანაც სოლიდური ანგარიშით — 2:13. ამდენად, E ჯგუფში 3-3 ქულით ბერძნები და ქართველები დაწინაურდნენ. საგულისხმოა, რომ მომდევნო ეტაპზე თითოეული ჯგუფიდან 2-2 გუნდი გადის. A ჯგუფში, ასევე, 3-3 ქულა აქვთ თურქებსა და მალტელებს, ოთხგუნდიან B ჯგუფში 6 ქულით გერმანია მეწინავეობს, C ჯგუფის ლიდერია ესპანეთი, D ჯგუფში ფრანგებმა და რუსებმა შვეიცარიელები დაჩაგრეს, F ჯგუფში 6 ქულით რუმინეთი პირველობს. მომდევნო შეხვედრები გაისად 30 მარტს გაიმართება. ამ დღეს ქართველი წყალბურთელები ბერძნებს უმასპინძლებენ. დანარჩენი პაექრობების განრიგი ასეთია: **11 მაისი.** საბერძნეთი — საქართველო, **18 ივნისი,** საბერძნეთი — დიდი ბრიტანეთი, **2 ივლისი,** დიდი ბრიტანეთი — საქართველო.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ინტერნეტიდან

## მსაჯები გაიფიცნენ



**შოტლანდიის საფეხბურთო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა არა მხოლოდ ამინდის ჭირვეულობამ, არამედ მსაჯთა მასშტაბურმა გაფიცვამაც.**

**დიდთოვლობის გამო არ შედგა „დანდი იუნაიტედის" და „რეინჯერსის", აგრეთვე „მოტერუელისა" და „ჰარტსის" მატჩები.**

თანაც საფეხბურთო ლიგის მატჩებს და თასის გათამაშებებზე აკლიათ ბევრი მსაჯი.

ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ვერასგზით ვერ მოახერხა ირლანდიელების, ინგლისელებისა და უელსელთა მხარდაჭერა. მეზობლები თუმცა ჰპირდებოდნენ მათ გამოგზავნას, მაგრამ იქაც თავიანთი მსაჯების თანადგომას ვერ მიაღწიეს. გაფიცულებს თანაგრძნობა გამოუცხადა ზოგიერთმა პორტუგალიელმა არბიტრმაც. მართალია, ისინი ჩაფრინდნენ გლაზგოში, მაგრამ უახლოესი რეისით უკანვე გაფრინდნენ.

ისე რომ, შაბათს პრემიერ-ლიგის მატჩებს უძღვებოდნენ ლუქსემბურგელი, ისრაელელი და მალტელი მსაჯები. შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ საჭირო 44 მსაჯის ნაცვლად მხოლოდ 17-ის შოვნა შეძლო.

გაფიცვას სერიოზული საკადრო ცვლილებებიც დაემთხვა. მსაჯთა კორპუსში კარიერა დაამთავრეს მთავარმა მსაჯმა დუგი მაკდონალდმა და თანაშემწე მსაჯმა სტივენ კრეივენმა. ორივე გახვეული აღმოჩნდა „სელტიკ" — „დანდი იუნაიტედის" მატჩის შემდეგ მომხდარ სკანდალში. გადააყენეს მსაჯობის განვითარებაზე პასუხისმგებელი ხიუ დალასი და კიდევ ასოციაციის 4 ჩინოვნიკი. ოფიციალური ვერსიით, ყოველი მათგანი ასე თუ ისე მონაწილე გახდა შოტლანდიაში რომის პაპის ბენედიქტ XVI ჩამოსვლის წინააღმდეგ შეთითხნილ ბილწ გამონათქვამებით სავსე წერილიდან მათ მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებაში ნაწყვეტების გამოყენებაში.

## რაგბი შეიყვარა

**ავსტრალიელი მოდელი სიომხან პარეხი, ირლანდიური და ინდური ფესვები რომ აქვს, სიდნეიში ცხოვრობს. მან 2005 წელს გაიმარჯვა ჟურნალის FHM სილამაზის კონკურსზე, შემდეგ კი გახდა კომპიუტერული თამაშების ერთ-ერთი გმირის პროტოტიპი, როგორც ქალი — მებრძოლი.**

როგორც ამბობენ, ის დიდხანს ხვდებოდა სახელოვან ჩოგბურთელ მარკ ფილიპუსისს, მწვანე კონტინენტის ჩოგბურთს რომ განასახიერებდა.

ახლა ქალიშვილი ფლირტს თამაშობს მორაგბე კამერონ შეფერდთან, რომელიც 2007 წელს ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა მსოფლიო თასის გათამაშებაში საფრანგეთში. მაშინ მათი გუნდი პლეი-ოფში გავიდა.



◎ დაზუსტება

**ჩვენი გაზეთის ა. წ. 12, 13 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილის „სტალინის მეკარის" ავტორი არის არა ალბერტ ერემინი, არამედ მწერალი არსენ ერემიანი.**

გამოიცა

# წიგნი ქართული მუსიკის შესახებ

**გამოვიდა ცნობილი მუსიკისმცოდნის, პროფესორ გულბათ ტორაძის წიგნი „მუსიკის სამყაროში“, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ქართული მუსიკისმცოდნეობის პატრიარქის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი გზის ერთგვარ შეჯამებას.**




წიგნი ძალზე შინაარსიანი და მრავალფეროვანია თავისი თემატიკით. იგი წარმოადგენს ქართული პროფესიული მუსიკის განვითარების ვრცელ პანორამას, მთელი თავისი მრავალმხრივობით, წარმატებებითა და სირთულეებით, მთავარი შემოქმედებითი ფიგურებით, დაწყებული დიდი ზაქარია ფალიაშვილთა და დამთავრებული ჩვენი თანამედროვეებით.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს წიგნის ვრცელი პირველი თავი – „ქართული მუსიკა საუკუნის გადასახედიდან“, რომელშიც განხილულია ახალი ქართული მუსიკის მიერ განვლილი გზა (ძირითადად XX საუკუნეშიძ და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მოცემულია ამ ისტორიული გზის შედეგების მეცნიერული და კრიტიკული გაცნობიერების ცდა, რაც პირველად გაკეთდა ასეთი სისრულით.

წიგნის შინაარსზე მეტყველებს მისი მომდევნო თავების დასახელება: ქართველი კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები, შემსრულებლები, მოგონებები. წმინდა შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად ეს თავები იმითაცაა საყურადღებო, რომ ავტორი თავისი წერილების გმირთა შემოქმედებითი მოღვაწეობის პროფესიულად ზუსტ ანალიზთან ერთად, როგორც წესი, გვიზიარებს მათთან პირადი ურთიერთობით მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

უაღრესად საინტერესოა მოგონებების თავი, სადაც ავტორი მოგვითხრობს მსოფლიოს გამოჩენილ მუსიკოსებთან შეხვედრებზე.

გ. ტორაძის წიგნს, დარწმუნებული ვარ, ინტერესით წაიკითხავენ როგორც სპეციალისტები, ისე მუსიკის მოყვარულები. ეს მისი პრინციპული დიდი ღირსებაა.

აღსანიშნავია წიგნის ჩინებული წინასიტყვაობა, რომელიც ეკუთვნის მუსიკისმცოდნე მარინა ქავთარაძეს.

**რევაზ ტაკიძე,**
**თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, დირიჟორი.**

ჰოროსკოპი

# წარემატებზი, თუ წარმატებისა გჯერა

ვირთხა



დეკემბერი – თქვენთვის ძალიან კარგი თვეა. გექნებათ შესანიშნავი საკარიერო და ფულადი წარმატებანი. სასარგებლო იქნება ურთიერთობა იმ ხალხთან, ვინც თქვენზე უფროსია – ასაკით, წოდებით თუ გამოცდილებით.

საქმეებში, მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობაშიც, შეიძლება წააწყდეთ გააფთრებულ კონკურენციას. შესაძლებელია ლატარიაში მოგება. ხელსაყრელია სასულიერო პრაქტიკაში ჩართვა.

ხარი



შესანიშნავი თვეა ხარისთვის! ვარსკვლავები ახალისებენ ყველა ცვლილებას, და თუ დიდი ხანია ფიქრობთ სამუშაოს შეცვლას ან ბიზნესის გაფართოებას – ხელსაყრელი დროა ასეთი მოქმედებებისთვის. მხოლოდ კარგად მოიფიქრეთ და ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილების მიღებას. ამ თვეში განსაკუთრებით გაგიმართლებთ სიყვარულში. რეკომენდებულია ახალი ნაცნობების შეძენა და ძველებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება.

ვეფხვი



დეკემბერი მთლიანად წარმატებული იქნება ვეფხვისთვის. გელოდებათ მხოლოდ ყოველივე კარგი. წყნარად და ზომიერად აწარმოეთ მიმდინარე საქმეები, და მთავარია – მიიყვანეთ დაწყებული საქმე ბოლომდე, მაშინ გელოდებათ წარმატება საფინანსო და კარიერული თვალსაზრისით. ყური დაუგდეთ ინტუიციას.

შესაძლებელია პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომლებიც ადვილად იკურნება.

კატა



ახლა თქვენ ყველაფერი იოლად გამოგივათ, თითქოს თავისით კეთდებაო. თქვენს წინაშე იშლება ბევრი პერსპექტივა და გაჩნდება შემდგომი საქმიანობის მიმართულებათა არჩევის შესაძლებლობა. ამ თვეში ყველა თქვენს წამოწყებას აქვს წარმატების რეალური შანსი, მხოლოდ თუ თქვენ მას იწამებთ და საქმეში სულს ჩააქსოვთ.

დრაკონი



ეს თვე ყველაზე საუკეთესო როდია თქვენთვის, ამიტომ გამოიჩინეთ სიფრთხილე. თქვენი პიროვნული ენერგია ამჟამად საკმაოდ ძლიერია და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის დაგეხმარებათ, დაძლიოთ არაკეთილსასურველი სიტუაციები, რომლებიც შეიძლება შეგხვდეთ ამ თვეში.

ასევე შეიძლება გელოდებოდეთ კერძო უსიამოვნებანი. შეეცადეთ ნებისმიერ სიტუაციაში თავი გეჭიროთ ხელში და ნურავის მიაყენებთ შეურაცხყოფას.

გველი



არ არის ყველაზე წარმატებული თვე გველისთვის. იყავით ფრთხილად. შესაძლებელია კონფლიქტები, აგრეთვე ჭორებთან და ინტრიგებთან დაკავშირებული პრობლემები. გაუფრთხილდით ნერვებს.

თქვენი რწმენის ძალა დეკემბერში მაღალ დონეზეა. ხელიდან არ გაუშვათ ახალი თანამოაზრეების და მეგობრების შეძენის შესაძლებლობანი.

ცხენი



ეს თვე წარუმატებელი იქნება ცხენისთვის, განსაკუთრებით ფინანსური თვალსაზრისით. დიდია ფულადი დანაკარგების ალბათობა. ერიდეთ დიდ ხარჯებსა და საფინანსო რისკებს. ეს არ არის საუკეთესო დრო გარიგებათა დადებისა და ახალი პროექტების ამოქმედებისთვის.

შეიძლება გაგიჩნდეთ საკუთარი ძალების ეჭვი, ამიტომ მოგიწევთ საკუთარი თავის ხელში აყვანა.

თხა



სახიფათო დროა თხისთვის, ვინაიდან დიდია იმის ალბათობა, რომ გაგძარცვავენ ან მოგატყუებენ. თქვენი ენერგია ახლა მაღალ დონეზე არაა, ისევე, როგორც, სხვათა შორის, ჯანმრთელობაც. ნუ გადაიტვირთებით, იკვებეთ კარგად, ჩაერთეთ სპორტში და დაისვენეთ სრულფასოვნად.

მაიმუნი



რთული თვეა მაიმუნებისთვის. ეს არ არის შესაფერისი დრო ახალი პროექტების დაწყების ან მიმდინარე პროექტების დამთავრებისთვის. ერიდეთ სიმშვიდის დამრღვევებს, ნუ ენდობით ნაკლებად ნაცნობ ადამიანებს. თქვენი ინტუიცია არ გიღალატებთ: ენდეთ მას და ყველაფერი კარგად იქნება. ერიდეთ მოწამვლას, აგრეთვე მიაქციეთ ყურადღება კბილებს.

მამალი



თქვენთვის ეს იქნება კონფლიქტების, დავებისა და ჩხუბის თვე. დეკემბერში კარგ რამეს რომ მიაღწიო, საკუთარი ზნე უნდა მოთოკო. ხალხი თითქმის უსაბაბოდ მოგაბეზრებს თავს და შეგედავებათ. მოგზაურობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთის მიმართულებით, მოგიტანთ წარმატებას. არის ფულადი წარმატების ალბათობა.

ძაღლი



დეკემბერში თქვენი თანამგზავრი ჯანმრთელობის პრობლემები იქნება. შესაძლებელია როგორც სხვადასხვა დაავადება, ისე ტრავმები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოთ საჭესთან და სპორტული მეცადინეობების დროს. ატარეთ ბევრი ოქროს და ვერცხლის მოკაზმულობა, იგი დაგეხმარებათ გახადოთ თვე წარმატებული. არავითარ შემთხვევაში არ ითამაშოთ სარისკო ფინანსური თამაშები.

ღორი



ეს თვე კეთილად არ აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. გირჩევთ ერიდოთ სპორტის ექსტრემალურ სახეობებს და სიტუაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ დატვირთვასთან. ენდეთ ინტუიციას. ნუ ითამაშებთ აზარტულ თამაშებს და ნუ დადებთ ფულს. ქალებს შეიძლება გაუჩნდეთ გინეკოლოგიური პრობლემები.

ხსოვნა

# ვალენტინა (ვალია) შელიავა



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას ღვაწლმოსილი, ღირსეული პიროვნება გამოაკლდა. გარდაიცვალა ცნობილი ექიმ-პათოლოგანატომი, პედაგოგი, ექიმთა მრავალი თაობის აღმზრდელი ვალენტინა (ვალიაძ შელიავა.

ქალბატონი ვალია ექვსი ათეული წელი თავდაუზოგავად ემსახურა ქვეყანას. 1944 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ექიმ-ქირურგად ევაკოჰოსპიტალში, ხოლო შემდეგ გურჯაანის საავადმყოფოში. 1949 წელს იგი ეზიარა მედიცინის ფუნდამენტურ დარგს – პათოლოგიურ ანატომიას და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, ქალბატონი ვალია ეწეოდა მეტად ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მისი ხელძღვანელობით ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში სპეციალიზაციისა და დახელოვნების ციკლები გაიარა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის 500-მდე პათოლოგანატომმა. არც მეცნიერების წინაშე დარჩენილა ვალში – გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ონკომორფოლოგიის, ინფექციური პათოლოგიის პრობლემებზე, აღწერილი აქვს მედიცინის თეორიისა და პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი იშვიათი დაავადებები.

ყველას ხიბლავდა ქალბატონი ვალიას პიროვნული თვისებები. საქმისადმი ერთგულება და პრინციპულობა წარმოადგენდა მისი ცხოვრების წესს. უშურველად გადასცემდა მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდა სპეციალისტებს. ადამიანის დახმარება მის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენდა.

ქალბატონ ვალიას ღვაწლი ღირსეულად იქნა დაფასებული – მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ზნემაღალი, ზნეკეთილი ადამიანის, უბადლო პროფესიონალის ვალია შელიავას ნათელი სახე დიდხანს იცოცხლებს კოლეგებისა და მოსწავლეების მეხსიერებაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი.

---

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი, დამსახურებული ექიმი

ვალენტინა (ვალიაძ შელიავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

---

თემურ ჯორბენაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პათოლოგანატომიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი

ვალენტინა (ვალიაძ შელიავა

და თანაუგრძნობს მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

---



დედა ცისანა, მამა მიხეილი, მეუღლე ირაკლი, შვილი ნიკა, ძმა გიორგი, რძალი თეონა ჭანტურია, გიორგი, მანანა ჭანტურიები, რეზო, ნათელა ჩარხიანები, ძმისწულები ლიზა, გიორგი, მამიდები ლია ესაკია, ლონდა დარსანია, ბელა ესაკია, ანიკო, ემა ზურაბიშვილები ოჯახებით, ბიძები ნიკო, გივი, გიორგი ზურაბიშვილები, მერაბ დარსანია ოჯახებით, დეიდა ლიანა როსტიაშვილი ოჯახით, დეიდაშვილი კახა შენგელია ოჯახით, ბებია ნინო ჩაფიძე ოჯახით, ბიძაშვილი ზურაბ ესაკია ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეკა ესაკია

პანაშვიდი 30 XI, 1 XII 16 სთ. მისამართი ჭავჭავაძის 42. გამოსვენება 2 XII, 15 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

---

ლალი ავალიანი, ანზორ ახვლედიანი, თამარ ნამორაძე-ახვლედიანისა, ზურაბ ამაშუკელი, ნაილი გაბიჩვაძე, იზოლდა გოგუაძე, ჯემალ გოგიჩაძე, ირაკლი მეგრელაძე, კობა თოიძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, კახი ტოგონიძე, ბეჟან ქევანიშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, თამაზ ჩხიკვაძე, საბა ჭელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეკა ესაკია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

გულნაზ არჯევანიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

## რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.



ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ◉ დაიჯესტი

### სიმშვიდის ბურჯი

**სტრესისგან გათავისუფლების ყველაზე სწრაფი ხერხი – ეს არის წიგნის გადაშლა და კითხვის დაწყება, – დაადგინეს ბრიტანელმა მკვლევარებმა სასექსის უნივერსიტეტიდან.** აღმოჩნდა, რომ კითხვა ამშვიდებს გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე წყნარი მუსიკა, გასეირნება სუფთა ჰაერზე ან ჭიქა პიტნის ჩაი. ხერხი მოქმედებს უტყუარად, 68 პროცენტით ამცირებს სისხლში კორტიზოლის სტრესის ჰორმონის დონეს, წესრიგში მოჰყავს პულსი და კუნთების ტონუსი. ამ დროს სრულიადაც არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ წიგნს წაიკითხავთ. მთავარია, რომ ის საინტერესო იყოს.

### ვახშამი მიირთვი თავად!

**ძილის წინ ჭამა არა თუ საზიანო, სასარგებლოც კია! მთავარია, რომ ვახშამი იყოს მარცვლეული და ბოსტნეული კერძებისგან, მიაჩნიათ ავსტრალიელ მეცნიერებს სიდნეის უნივერსიტეტიდან.**

სპეციალისტების აზრით, ასეთ პროდუქტებს ადვილად ითვისებს ორგანიზმი და ისინი ზრდიან სისხლში ტრიპტოფანების ამინომჟავების დონეს. ტრიპტოფანების ოდენობის გადიდების დროს იზრდება ტვინში სეროტონინის (ბედნიერების ჰორმონისძ შემცველობა, რაც ამშვიდებს ნერვულ სისტემას და ხელს უწყობს სწრაფ დაძინებას.

## ◉ დღის კალენდარი

## 1 დეკემბერი

**ხსენება მოწამე პლატონისა (დაახლ. 306ძ; მოწამეთა: რომანოზ დიაკონისა და ყრმისა ბარულისა (303ძ; მოწამეთა: ზაქესი – ღადარინელთა დიაკონისა და ალფეზი წიგნის მკითხველისა – კესარიელისა (303ძ.**



ამოდის 07.08
ჩადის 16.31



ამოდის 02.59
ჩადის 13.24

### დაიბადნენ:

**1761 – მადამ ტიუსო,** ცვილის ფიგურების მუზეუმის დამაარსებელი. გარდაიცვალა 1850 წელს.
**1766 – ნიკოლოზ კარამზინი,** რუსი მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1826 წელს.
**1792 – ნიკოლოზ ლობაჩევსკი,** რუსი მათემატიკოსი. გარდაიცვალა 1856 წელს.
**1881 – ალექსანდრე თვალჭრელიძე,** გეოლოგი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1957 წელს.
**1885 – დიმიტრი შევარდნაძე,** მხატვარი. გარდაიცვალა 1937 წელს.
**1919 – ნენსი ასტორი,** პირველი ქალი, რომელიც ბრიტანეთის თემთა პალატაში აირჩიეს.

### გარდაიცვალნენ:

**1755 – ლორენცო გიბერტი,** იტალიელი მოქანდაკე.
**1825 – ალექსანდრე I,** რუსეთის იმპერატორი.
**1866 – ჯორჯ ევერესტი,** ინგლისელი გეოდეზისტი, მან პირველმა დაადგინა ჯომოლუნგმას სიმაღლე.
**1973 – დევიდ ბენ-ჰურიონი,** ისრაელის პირველი პრემიერი.

### მოვლენები:

**1697 წელი** – გაიხსნა სერა კრისტოფერ რენის მიერ ხელმეორედ აშენებული წმ. პავლეს საკათედრო ტაძარი ლონდონში.
**1804 წელი** – ნოტერდამის ტაძარში ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორად აკურთხეს.
**1805 წელი** – მოხდა აუსტერლიცის ბრძოლა, რომელსაც „სამი იმპერატორის ბრძოლა“ ეწოდა.
**1852 წელი** – საფრანგეთში მეორე იმპერია ჩამოყალიბდა. ლუი ბონაპარტი გამოცხადდა იმპერატორად და დაერქვა ნაპოლეონ III.
**1918 წელი** – ისლანდია სუვერენული სახელმწიფო გახდა.
**1918 წელი** – ჩამოყალიბდა სერბების, ხორვატების და სლოვენების სამეფო, მომავალი იუგოსლავია.
**1923 წელი** – ვილჰელმ მარქსმა ახალი სამთავრობო კოალიცია შექმნა და გერმანიის კანცლერი გახდა.
**1935 წელი** – ჩან კაი ში ჩინეთის პრეზიდენტი გახდა.
**1987 წელი** – დაიწყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის გვირაბის მშენებლობა.
**1988 წელი** – ბენაზირ ბჰუტო გახდა პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი ისლამურ ქვეყანაში.
**1989 წელი** – მალტაში მიხეილ გორბაჩოვისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრა შედგა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.**
**პორტუგალია** – დამოუკიდებლობისა და ახალგაზრდობის დღე.
**რუმინეთი** – ეროვნული დღე.

მედიანიუსი

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7530 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4083 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8129 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |




## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.


## ◉ ხუმარსიტყვა

### სიმღერა ლისაბონელ ბოზებზე

ლისაბონის ბოზები
გრანდ-ოტელში მოვლალეთ,
დოლარების ბოძებით
არ დავურჩით მოვალე.

იმათ ფეხთა გაშლისთვის
არ დაგვჭირდა ნარკოზი,
ოღონდ ნერვებაშლილი
გავალვიძეთ სარკოზი.

იქაურო ბოსებო
ცოტაც ვერ გვაცალეთო?
...ლისაბონის ბოზებო,
მაინც გენაცვალეთო...

თამაზ ილმელი

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +11 |
| ქუთაისი. | +13 – +19 |
| ბათუმი. | +10 – +22 |
| ზუგდიდი. | +10 – +20 |
| თელავი. | +3 – +15 |


## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.


## ◉ ანეკდოტები

– მიხო, დახურე, კაცო, ფანჯარა, ვერ ხედავ, როგორი ქარია? – კაპასობს მარო.
– ფანჯარა თუ დავხურე, ქარი ჩადგება, რო?

* * *

– ექიმო, ჩემი ქმარი მთელი ღამე გაიძახოდა, ტაქსი ვარო, ამ დილას კი პიპინით შემიკლა ხელში.
– ოო, სასწრაფოდ მომიყვანეთ.
– ვერ მოგიყვანთ, არ იქოქება.

* * *

დედა მივლინებიდან დაბრუნდა და თავის პატარა გოგოს ეკითხება:
– ხომ ჭკვიანად იყავი შვილო, ხომ დროზე იძინებდი და ხომ არ ტიროდი?



– არ ვტიროდი, დედიკო, ოთხშაბათსა და პარასკევს ღამით ჩემთან გადია იყო.
– უნდა თქვა ასე – გადიას ჩემთან ეძინა, – უსწორებს მამა.
– შენთან გადიას ოთხშაბათსა და პარასკევს კი არა, ხუთშაბათს ეძინა, მამიკო, – არ ეთანხმება გოგონა.

* * *

– პური გაქვთ? – ეკითხება სვანი გამყიდველს.
– თეთრი გინდათ თუ შავი?
– სულერთია, ბრმისთვის მინდა.

* * *

– ქალღის ფული გადაიხადეთ? – ეკითხება კონტროლიორი მგზავრს.
– არა, ქალღი მაჩუქეს.

## ◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.